ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 92 (19534) ◆ კვირა, 20 აპრილი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

# ინტენსიური მინდორი

**ყ**ირილობისშემდგომი პირველი გაზაფხული თითქოს ჩვეულებრივია, მაგრამ ვინც ამ დღეებში მინდვრად, ბალევნებსებსა თუ პლანტაციებში ყოფილა, შეამჩნევდა, რომ მოწადინება და ანლებური მუშაობის სურვილი განსაკუთრებულია. მხვნელ-მოთესველები ახალი იდეებით, გაბედული ჩანაფიქრებით შეუდგნენ საჭირნახულო ლაშქრობას.

დაჩქარება... სამეურნეო ანგარიში... ინტენსიფიკაცია... სკკპ XXVII ყრილობისათვის ნიმანდობლივი ეს ცნებები ახლა სოფლის მშრომელთათვისაც ახლობელი გახდა და მათგან, მეტადრე სპეციალისტებისგან, მთელი ძალით მუშაობას, ისეთ გარჯას მოითხოვს, რომელშიც წარმატებების მოპოვებასაც ყრილობამ შთამაგონებელი იმპულსი მისცა.

მიწათმოქმედთათვის ახლა ცხადზე ცხადია, რომ მხოლოდ მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების მოპარჯვებით შეძლებენ მიაღწიონ პროდუქციის წარმოების მკვეთრ მატებას, ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა-ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

დასახული მიჯნების მისაღწევად, თქმა არ უნდა უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ რას დათესავენ, როგორ და რა ვადებში შეასრულებენ სამუშაოებს. უკეთ რომ ვთქვათ, როგორ უზრუნველყოფენ მეცნარეებს თავიანთი განვითარების სხვადასხვა სტადიაში ყველაზე საუკეთესო, ამინდისა და სხვა უაქტორებთან კორექტირებული პირობებით.

მიწდვრად ამგვარი პირობების გარანტიას იძლევა ინტენსიური ტექნოლოგია, რომლის არსია — ყოველგვარ ამინდში მოსავალი მიეიღოთ იმდენი, რამდენის მოცემაც ჩვენი მიწათმოქმედების უზარმაზარ პოტენციალს შეუძლია და ამავე დროს გავზარდოთ დახარჯული სახსრების ნაზღაურობა.

ინტენსიური ტექნოლოგია — მოსავლიანობის მატების ეს მძლავრი რეზერვი — არსებითად ბოლო წლებში ამოქმედდა ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ მან უკვე თვალსაჩინო კვალი დაანნია ჯირნასულის ნვაგზა და ბარაკს. ჩვენი მემინდვრეების გამოცდილება მოწმობს, რომ „მარცვლეულის გარანტირებული მოსავალი", „სტაბილური მიწათმოქმედება", „მოსავლის დაპროგრამება" მხოლოდ სიტყვების მოდური თამაში კი არა, აგრარული მეცნიერებისა და კარგად ორგანიზებული მარცვლეულის მეურნეობის რეალობაა.

ეს რეალობა განსაკუთრებით წარმოჩინდა აბაშის, ცხაკაიას, წითელწყაროს, ხობის და სხვა რაიონებში, სადაც შარშან ინტენსიურ მინდორზე სიმინდისა და ხორბლის წარმოების რეკორდულ მიჯნებს მიაღწიეს. რესპუბლიკაში კი ახალი ტექნოლოგიით მოყვანილი მარცვლეულის ჰექტარობრივი მოსავლიანობა ჩვეულებრივთან შედარებით 6,2 ცენტნერით მეტი იყო.

ინტენსიური ტექნოლოგია იოლი საქმე არ არის. მასში გაცილებით მეტი და მრავალფეროვანი ოპერაციაა. ზუსტად არის დოზირებული ბალანსირებული სასუქების შეტანა, გულმოდგინედ გამოიყენება მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი, ამიტომაც ანლებურად მოსავლის მომყვანს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება უნდა ჰქონდეს. ამგვარ ცოდნასა და გამოცდილებას ნლეულს რესპუბლიკაში საგანგებოდ ორგანიზებულ სემინარებზე 720 მექანიზატორი, მთავარი სპეციალისტი და მეურნეობის ხელმძღვანელი დაეუფლა.

მათი მეცადინეობით ნლეულს კიდევ უფრო გაფართოვდება ინტენსიური მინდორი, რომელსაც 35500 ჰექტარი დაეთმობა.

10 ათას ჰექტარზე ახალი მეთოდით, გულისყურით ნათესმა და სასუქებით გამოკვებილმა საშემოდგომო ხორბალმა კარგად გამოიზამთრა. ჯეჯილი ლაჟად გამოიყურება და ბარაქიან ალოობას გვპირდება;

მემინდვრეები ეს-ეს არის შეუდგნენ პროგრესული მეთოდით სიმინდის თესვას. მათ ეს სამუშაო 5-10 მაისამდე 25 ათას ჰექტარზე უნდა შეასრულონ.

ნლეულს გარდაბნის, მცხეთისა და მარნეულის რაიონებში 500 ჰექტარზე მოსავალს ახლებურად, ასტრახანული ტექნოლოგიით მოიყვანენ მეპოსტნეებიც. ეს იქნება არა უბრალო, ჩვეულებრივი ექსპერიმენტი, არამედ გაბედული ნაბიჯი რესპუბლიკის სხვა ზონებშიც მდგრადი ბოსტნეულის მეურნეობის ოპტიმალური მოდელის შემუშავების გზაზე.

მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ უმჯობესია მოსავლის ახლებურად მოყვანის გამოცდილებას კი არ ვშაბადოდთ და ვადმოვიღებდეთ სხვისგან, არამედ მას ჩვენი სავარგულების, ჩვენი კლიმატის პირობებში ვქმნიდეთ, რათა ახალი მეთოდი ზედმიწევნით ესადაგებოდეს მიწათმოქმედების ზონალურ სისტემებს, ტექნოლოგიურ რუკებს.

ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, სადაც თითქმის ყველა ზონისათვის შეიქმნა სიმინდის პიბრიდული თესლი, რომლის პოტენციური მოსავლიანობა 100 ცენტნერს სჭარბობს. აქვე დამუშავებულია პამიდვრის მოყვანის პროგრესული ხერხი, მაგრამ იგი ისევე ნელა ინერგება, როგორც, საერთოდ, მემცენარეობის პროდუქტების ინდუსტრიული წარმოების ტექნოლოგიები. არადა, მემინდვრეებს, მებოსტნეებს და არა მარტო მათ, ძალზე სჭირდებათ ისეთი უნვიმოსაველიანი ჯიშები, რომლებიც ამავე დროს მედეგი იქნებიან დაავადებებისა და ინდუსტრიული ტექნოლოგიის მოთხოვნებისადმი.

ეს მეცნიერებსა და პრაქტიკოს სპეციალისტებს ავალებს მეტი ხალისითა და ყურადღებით მოეკიდონ ახალ ტექნოლოგიას და ანგარიში გაუწიონ იმას, რომ თანამედროვე პირობებში, როცა ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ფაქტორები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის, ეს სიახლე წლითიწლობით მეტ ადგილს დაიკავებს ჩვენს სავარგულებში.

ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ინტენსიურ ტექნოლოგიას მხოლოდ მაშინ მოჰყვება სასურველი შედეგი, როცა იგი მატერიალურად შთლიანად უზრუნველყოფილია. სიძნელეები უმთავრესად ფსიქოლოგიური ხასიათისაა, რადგან ოპტიმალური შედეგი უმალ არ იჩენს თავს, გარდა ამისა, შრომისა და სხვა რესურსების დიდი დანახარჯებია საჭირო, მაგრამ თუ ამ სიახლის დანერგვა მინდობილი აქვთ გამოცდილ პროფესიონალებს, საიჯარო ბრიგადებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მაღალი საბოლოო შედეგებით და უნარი შესწევთ ნიჭნიერად, ეკონომიურად გამოიყენონ გამოყოფილი რესურსები, უკუგება დანახარჯებს მნიშვნელოვნად აღემატება. მაგალითად, შარშან აბაშის რაიონის მეურნეობებში ინტენსიურ მინდორში მოყვანილი სიმინდის მარცვლის თვითღირებულების გაიაფებით თითოეულ ჰექტარზე ნეთიდან შემოსავალმა 171-306 მანეთი შეადგინა. ხობის რაიონის მეურნეობებში მთელ ფართობზე მიღებულია 147 ათასი მანეთი დამატებითი ნეთიდან შემოსავალი; ხოლის მოსავლიანობის გადიდებით აბაშის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მიღებულია 817 ათასი მანეთი, ხოლო მთლიანად ხობის რაიონში 29 ათასი მანეთი ნეთიდან შემოსავალი; გურჯაანის რაიონში ლობიოს წარმოებიდან მოგებამ 84,3 ათასი მანეთი შეადგინა.

ინტენსიური ტექნოლოგიისგან ამგვარი უკუგება ვერ მიიღეს ქარელის, ვარდაბნის, მარნეულის, გორის, მაიაკოვსკის, ლენინგორის და სხვა რაიონების ცალკეულმა მეურნეობებმა, რადგან მათმა სპეციალისტებმა და ხელმძღვანელებმა ჯეროვანი გულისყური ვერ გამოიჩინეს სამუშაოთა მთელი კომპლექსის ზუსტი შესრულებისადმი.

მარშანდელი წარუმატებლობა ნლეულს ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი უნდა გახდეს. გაზაფხული ყოველთვის ერთს მოითხოვს ჩვენგან: ვიცოდეთ დროის ყადრი და არ დავაყოვნოთ, მინდორში ყოველგვარ პირობებში დავიცვათ დისციპლინა.

გაზაფხულის ამ დღეებში ბეჯითი გარჯა უნვი მოსავლის საიმედო საფუძველია.

---

ჩვენი რესპუბლიკის ასიათასობით მშრომელი მონაწილეობდა გუშინ კომუნისტურ შაბათობაში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავს მიეძღვნა. არნახული შრომითი აღმავლობით აღინიშნა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, სამეცნიერო დაწესებულებებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზვრებში, მეცხოველეობის ფერმებში, სხვა ორგანიზაციებში.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, მაგალითად, მნიშვნელოვნად გადიდდა გუშინ ახალი ტექნიკიდან მიღებული უკუგება, თბილისის ტრიკოტაჟის საცვლის საწარმოო გაერთიანებაში დამთავრდა მოძველებული მოწყობილობის გამოცვლა, რაც დაიჩქარებს ასორტიმენტის განახლებას. ამიერკავკასიის რკინიგზელებმა გრაფიკის გასწრებით ჩამოიყვანეს თბილისში ხუთი დიდშემადგენლობიანი მატარებელი და ეს განხორციელდა დაზოგილი ენერგიით. „ელვასა" და „ანალიზისწყლის" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებსა და სხვა საწარმოებში დაამონტაჟეს ახალი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები. თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში კომუნისტური შრომის დღესასწაულში ჭონაწილეობდა 1800 კაცი. მეტალურგებმა გამოუშვეს 80 ათასი მანეთის სასაკონლო პროდუქცია, შეაგროვეს 15 ტონა ჯართი, ვ. კურტანიძისა და ო. ბებიეშვილის მოწინავე ბრიგადებმა ოთხი თვის გეგმა შეასრულეს.

წინასწარი მონაცემებით, რესპუბლიკის კომუნისტური შაბათობის მონაწილეებმა დაამზადეს 23 მილიონ 121 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, 780 საწარმომ იმუშავა დაზოგილი ნედლეულით, მასალებითა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა 3,5 მილიონ მანეთზე მეტი.

უსასყიდლო დამკვრელური შრომით გამომუშავებული სახსრების დიდი ნაწილი გადაირიცხება ჯანმრთელობის დაცვის, დედათა და ბავშვთა დაცვის, კულტურისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის. ასე იყო ადრეც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა განმეორდეს ისეთი ყოვლად შეუწყნარებელი ფაქტი, როცა საამისოდ გამოყოფილ საშუალებებს მთლიანად ვერ ვითვისებთ.

## თბილისი

**გუშინ** თბილისის ერთ-ერთი დიდი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების საწარმოს — ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა რვა წვეის ძრავა და ორი საფოლტაციო დანადგარი შეაკეთა, გამოუშვა 3 ათასი მანეთის მოძრავი შემადგენლობის სათადარიგო ნაწილები. სულ კი აქ 70 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია დამზადდა და ხუთწლედის ფონდში 7 ათასი მანეთი გადაირიცხა.

„ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების საექსპერიმენტო საამქროში გუშინ ახალი სერიის რიგით მეოთხე ელმავალი მონტაჟდებოდა და შესრულდა მნიშვნელოვნად მეტი მოცულობის სამუშაო, ვიდრე ჩვეულებრივ ცვლაში. 16 ათას მანეთზე მეტი გადარიცხეს ელმავალმშენებლებმა ხუთწლედის ფონდში.

ორგანიზებულად და დიდი შრომის ნაყოფიერებით იშრომეს გუშინ თბილისის „ელექტროაპარატისა" და „საქელექტრომანქანის" საწარმოო გაერთიანებების, ფოლადთუჯსამსხმელო, საინსტრუმენტო, „თბილისი ხელსაწყოს" ქარხნების, თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატის, ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების, სამკერვალო ფაბრიკების კოლექტივებმა.

ათასობით თბილისელმა იშრომა ქალაქის ქუჩების, პარკების, სკვერების კეთილმოწყობისათვის. დასუფთავდა გზები და გზაჯვარედინები, დაწესებულებათა ფასადები, დაირგო ათასობით ხე და ბუჩქი.

## სოხუმი

**გუშინ** აფხაზეთის სოფლის მეურნეობის 60 ათასზე მეტმა მიწათმოქმედმა, მექანიზატორმა და სპეციალისტმა შეასრულა მინდვრებსა და პლანტაციებში ესეთი მოცულობის სგაზაფხულო სამუშაოები, რომლისთვისაც ინტენსიური აგროტექნიკური გრაფიკით განკუთვნილია სულ ცოტა ორი დღე. მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე უკვე საღამოსათვის შაბათობის მონაწილეთა წვლილი აგრეთვე ცნობილი იყო. დაიკავა რა თავიანთი ჩვეული სამუშაო ადგილები, ძირითადი და დამხმარე პროფესიების 113.540 მუშამ გამოუშვა 1.452 ათასი მანეთის პროდუქცია, სახელმწიფოს მისცა 102,4 ათასი მანეთი წმინდა მოგება. მარტო 777 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი გამოუშვეს. დაზოგილი ნედლეულით, მასალებითა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით იმუშავა 30 საწარმომ. მშენებლებმა შეასრულეს 367 ათასი მანეთის სამუშაოები. შეგროვდა 20 ტონაზე მეტი ჯართი, დაირგო 32.165 ხე და ბუჩქი.

## ბათუმი

**ბუნური** ღირსების საქმედ მიიჩნიეს ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში „წითელი შაბათობის" დღის აღნიშვნა დამკვრელური შრომით.

ლენინური კომუნისტური შაბათობის დღეს ქარხნის მშრომელებმა 50 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვეს. დავალების გადაჭარბებით დამზადდა 14 ელექტროურიკა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნობო შემქმნელმა შაბათობის მომწყობმა შტაბმა ათობით რადიოგრამა მიიღო. მშობლიური ნაპირებისაგან შორს მყოფმა მეზღვაურებმა მას უპატაკეს, რომ ამ დღეს იშრომეს შემოქმედებითად, შეასრულეს დიდი მოცულობის სარემონტო სამუშაოები, გამოიყენეს დაზოგილი საწვავ-სპაზი მასალები. გემების „ნატო ვანნაძისა" და „კომანდარმ ფედკოს" ეკიპაჟებმა პირველებმა მოახსენეს ეს შტაბს. სულ აქარაში შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 193 ათასმა კაცმა, დამზადდა 1.091 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა 280 ათასი მანეთი.

კიდევ უფრო დამშვენდა ბათუმის სკვერები და პარკები, დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულეს ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა. ბევრი რამ გაკეთდა საკურორტო ზონების კეთილმოსწყობად.

## ცხინვალი

**მთელი** პროდუქცია უნდა გაანაწილოს მეთორმეტე ხუთწლედში ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის" კოლექტივმა.

ქარხნის გაფართოება დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ შაბათობის დღეს საწარმოს კოლექტივი აღარ დაელოდა ტექნიკური განახლების დამთავრებას და ახალი შახტური ვიბრომკეცავის წარმოებას შეუდგა.

ამ დღეს, ქარხნის ოთხასი მუშა-მოსამსახურიდან თითქმის ყველა დაზოგილი ნედლეულით და მასალით მუშაობდა — მათ 10 ათასი მანეთისაზე მეტი პროდუქცია გამოუშვეს.

სულ 19 აპრილს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა გამოუშვეს 337 ათასი მანეთის პროდუქცია, მათ შორის — 237 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. შაბათობის 60 ათასი მონაწილიდან 2.500-ზე მეტმა კაცმა იმუშავა დაზოგილი ნედლეულით, მასალით და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით. მათ 45.900 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

„წითელი შაბათობის" დღეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა მოაგროვეს 170 ტონაზე მეტი ჯართი, დარგეს 20 ათასი ხე, ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს 109 ათასი მანეთი.

## ქუთაისი

**კარგად** იშრომეს შაბათობაზე ქუთაისის ბამბის სართავი გაერთიანების მშრომელებმა, რომლებმაც ხუთწლედის ფონდში 2.300 მანეთი გადარიცხეს.

საუკეთესო შრომითი გუნებაგანწყობილებით იმუშავეს ქუთაისის სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებმაც. 90 ათასამდე კაცი გამოვიდა თავის სამუშაო ადგილებზე. დღის ბოლოსათვის გადაჭარბებით იყო შესრულებული ორი მილიონი მანეთის ავტომანქანების, ჩასაყვინთი ავტომრავების, ავეჯისა და სხვა დასახელების საქონლის, მათ შორის მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საგეგმო დავალებანი.

საერთო ყურადღებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს მშენებლებმაც. ამ დღეს სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტებზე შესრულდა 210 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ქუთაისელები დასაქმებულები იყვნენ სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობაზე, ქუჩების გამწვანებაზე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქალაქის ქალიშვილებისა და ჭაბუკების წვლილი, რომელთაგან ბევრმა კეთილმოაწყო ჩვილ ბავშვთა სახლის ტერიტორია.

მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში ქუთაისელმა მშრომელებმა გამომუშავებული თანხიდან გადარიცხეს 200.000 მანეთი.

## რუსთავი

**რუსთავის** მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს სპეციალისტებმა, რომლებმაც ქარხნის ენერგოსისტემიდან ავტომატიკის საჭიროებისათვის მხოლოდ სამი კილოვატი ისეხეს, 19 აპრილს ასჯერ მეტი დაიბრუნეს. ასეთი სიმძლავრის დაზოგვა შეძლო ფოლადის უწყვეტი სხმის პროცესის მართვის ახალმა ელექტრონულმა სისტემამ, რომელიც ახდენს დნობის პროცესის ინტენსიფიკაციას.

ეს რეზერვი ძალიან გამოადგებათ ქართველ მეტალურგებს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ ახალ სიმძლავრეთა ამუშავების დროს, მოსპობს ლითონის გამოშვების გადიდების გზაზე ენერგორესურსების გადაჭარჯვის პრობლემას.

19 აპრილს ქარხნის ყველაზე ენერგოტევადი საწარმო — ფოლადსადნობი — თვის დამდეგიდან დაზოგილი სათბობითა და კილოვატსაათებით მუშაობდა. ნადნობის 70 პროცენტი გამოშვებული ჩაკირსნული მეთოდით. სახელმწიფომ გეგმის გადამეტებით მიიღო 1000 ტონაზე მეტი ფოლადი.

**სურათზე: ლენინური შაბათობა თბილისის ქარხანა „ბიგროძრავას" საამწყობო საამქროს ბრიგადაში, რომელსაც ნ. შენგელია ხელმძღვანელობს.**

ს. კილაძის ფოტო.

---

# შრომის დიდი დღესასწაული

# გვირგვინით შემკობა

**ბერლინი, 19 აპრილი.** (საკდეს). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ზმიდათაწმიდა ადგილია გერმანიის რევოლუციური მოძრაობის მებრძოლთა მემორიალური სასაფლაო ბერლინის ფრიდრიხსფელდეს რაიონში. მის ცენტრში აღმართულია პორფირის ქვის ობელისკი, რომელზეც ამოკვეთილია სიტყვები „მკვდრები გვაფრთხილებენ". მის ირგვლივ არის მარმარილოს საფლავის ქვები, რომლებზეც წარწერილია გერმანიის მუშათა მოძრაობის ბელადების კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის, ერნსტ ტელმანის, ვილჰელმ პიკის, ოტო გროტევოლის, ვალტერ ულბრიხტისა და სხვების სახელები.

დღეს ფრიდრიხსფელდეს სასაფლაოზე მივიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით.

მემორიალის შესასვლელთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს მიეასალმნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

საზეიმო ცერემონიის მონაწილეები მიეგებოდნენ მემორიალის აკენ და გვირგვინით ამკობენ მარმარილოს ფილებს. გვირგვინის ალისფერ ლენტზე წარწერილია: „გერმანიის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეებს. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის XI ყრილობაზე წარმოგზავნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია."

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გერმანიის და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნას. შესრულდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

**სურათზე: ფრიდრიხსფელდეში სოციალისტთა სასაფლაოს გვირგვინით შემკობის დროს.**

**საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.**

# საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

**19 აპრილს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მიიღო ბენინის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული რევოლუციური კრების დელეგაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

გულთბილად მიესალმა რა სტუმრებს, ამბ. გილაშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა მეტ წილ საკითხებში, რომლებიც ეხება განიარაღებისა და ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პრობლემებს. მან გამოთქვა რწმენა, რომ ბენინის პარლამენტართა ვიზიტი სსრ კავშირში ხელს შეუწყობს საპარლამენტათშორისო კონტაქტების გაფართოებას, ორი ქვეყნის ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცებას.

ამბ. გილაშვილმა სტუმრების ყურადღება მიაპყრო საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო საგარეოპოლიტიკურ ინიციატივებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია თავისი ავანტიურისტული მოქმედებით მსოფლიოს ბირთვული კატასტროფისაკენ უბიძგებს, სსრ კავშირი კვლავ მტკიცედ ახორციელებს ომის საფრთხის თავიდან აცილების, გამალებული შეიარაღების ალაგმვის თანამიმდევრულ კურსს.

სტუმრებს გააცნეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებანი, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა და საქმიანობა.

დელეგაციის მეთაურმა, ბენინის სახალხო რევოლუციის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ეროვნული რევოლუციური კრების პირველმა ვიცე-თავმჯდომარემ ჟოზეფ დეგლამ ბენინის დელეგაციის წევრთა სახელით მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ ბენინის პარლამენტართა ვიზიტი წვლილს შეიტანს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განვითარებაში.

ჟოზეფ დეგლამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების გაცნობა ბენინელ ხალხს დაეხმარება მის წინაშე მდგომი ბევრი პრობლემის გადაჭრაში.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები რ. ა. გოგლიძე, ნ. შ. ენდელაძე, თ. ვ. ლაშქარაშვილი, მ. ა. მეგრელიშვილი, ზ. მ. მესხიშვილი.

დელეგაციასთან ერთად იყო სსრ კავშირში ბენინის დროებითი საქმეთა რწმუნებული რ. კ. ვინიკინი. (საქინფორმი).

# გვიკარნახებს დაჩქარების სტრატეგია

**დღეს** თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელის მთავარი ამოცანაა მიზანმიმართულად და მტკიცედ ახორციელებდეს პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე უზრუნველყოფდეს წარმოების ინტენსიფიკაციას, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, საუკეთესო საბოლოო შედეგებს მეურნეობრიობის ყველა სფეროში.

ამ აზრმა ვანსაზღვრა მშრომელთა წარმომადგენლებთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის საუბრების ტონი და მიმართულება ქალაქ ჭიათურაში, საჩხერისა და ზესტაფონის რაიონებში ყოფნის დროს. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანჩაბაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ. დ. მახარაშვილი და ო. ვ. მელქაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ტ. ვ. ლორთქიფანიძე და კ. ვ. ჯანჯღავა.

ეს ეკონომიკური რეგიონი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს რესპუბლიკის სანალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში. აქაური სამრეწველო საწარმოების განვითარება მოითხოვს, რომ ყველამ — ხელმძღვანელი იქნება თუ რიგითი მუშა — მტკიცედ გარდაქმნას მუშაობის სტილი და მეთოდები. მხოლოდ ამ პირობით მიეცემა მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს დანერგვის შესაძლებლობა, მხოლოდ საქმისადმი დაინტერესებული დამოკიდებულებით, მისი შედეგებისათვის დიდი პასუხისმგებლობით გახდება შესაძლებელი დაჩქარება ყველგან და ყველაფერში.

დაინტერესებული, გულახდილი იყო ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილის საუბარი საჩხერის ბამბასართავი ფაბრიკის კოლექტივთან. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ახალგაზრდა საწარმო ეს-ეს არის ფეხზე დგება, ითვისებს საპროექტო სიმძლავრეებს. საჭიროა, რომ კოლექტივი ვითარდებოდეს ყოველმხრივ, რომ ყველა მშრომელს შეექმნას შრომისა და ყოფა-ცხოვრების შესაბამისი პირობები, რომლებიც გადამწყვეტწილად განსაზღვრავენ ადამიანთა ეკონომიკურ აქტიურობას. ამ საქმეში, აღნიშნა ჯ. ი. პატიაშვილმა, არ უნდა იყოს წვრილმანები, შესაბამისი პარტიული და საპეურნეო ხელმძღვანელების ყურადღების სფეროს გარეთ დარჩენილი პრობლემები, ვინაიდან ცუდად მოგვარებული სავაჭრო მომსახურება, ბინებისა თუ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ნაკლებობა სულაც არ აძლევს სტიმულს ადამიანთა მუშაობას.

მით უფრო წარმატებით ვიმოქმედებთ, რაც უფრო უკეთ შევითვისებთ, გავიაზრებთ, რომ იტყვიან, გულსა და ცონებაში გავატარებთ ყოველივეს, რაც თქვა პარტიის XXVII ყრილობაზე, და იმას, რაც ვანსახიერდა მის გადაწყვეტილებებში, თქვა თავის სიტყვაში ქალაქ ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. ეს კარგად ესმით ჭიათურელ მაღაროელებს, ყრილობის შემდეგ პირველივე დღეებში რომ დადგნენ დამკვრელურ შრომითის ვახტზე, რომლის მთავარი დევიზია — მაქსიმალური უკუგება თითოეულისაგან, მაღალი დისციპლინა და ორგანიზებულობა ყველგან და ყველაფერში. აქ ოდითგანვე არიან დაუფლებული ადამიანები რთულ ტექნიკას. ამას ადასტურებს პატარიძის სახელობის მაღაროთასმმართველობა ახალი მექანიზებული სამაგრები, რომლებმაც დაიჩქარეს ძვირფასი ნედლეულის მოპოვება, შეამსუბუქეს მიწისქვეშა შრომა. მაგრამ მარტო ტექნოლოგიური სიახლეები არ კმარა, ხაზგასმით აღნიშნა მაღაროელებთან მიწისქვეშა ჰორიზონტში გამართული საუბრის დროს ჯ. ი. პატიაშვილმა. დღეს დისციპლინაც, წესრიგიც უფრო მტკიცე უნდა იყოს. უფრო მაღალ დონეზე უნდა ავიყვანოთ მუშაობის ხარისხი, მისი ორგანიზაცია. ის, რაც გუშინ ვკამპყოფილებდა, დღეს აღარ კმარა. ორიენტირი უნდა გახდეს ახალი მოთხოვნები, ახალი მიზნები.

მუშები და უწინარესად კომუნისტები მარტო შრომაში კი არა, ყოველთვის უნდა იძლეოდნენ მაგალითს: ყოველდღიურ ურთიერთობაში ყველასთან, ოჯახში. იმათ მიმართ მკაცრი მომთხოვნელობა, ვისაც არ სურს ფეხი აუწყოს ყველას, ცხოვრების ნორმა უნდა გახდეს. ასე აყენებს დღეს საკითხს პარტია, ხაზგასმით აღნიშნა ჯ. ი. პატიაშვილის შეხვედრაზე ქალაქ ჭიათურის პარტიულ-სამეურნეო აქტივთან. დიდი მომთხოვნელობა ყველგან და უწინარეს ყოვლისა მომსახურების სფეროში სოციალური სფეროს საქმიანობაშიც უნდა ელინდებოდეს. მტკიცე დაბრკოლება უნდა შევუქმნათ ნეგატიურ მოვლენებს. მშრომელი კაცისათვის ზრუნვა ყოველთვის ასკეცად ნაზღაურდება მისი დიდნაყოფიერი შრომით, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით.

ცვლილებების ახალმა სიომ განაპირობა დღევანდელობის მაღალი დინამიზმი. თვალნათლივ შეინიშნება გარდატეხა ადამიანთა შეგნებაში, მათს მისწრაფებაში — შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანონ საერთო საქმეში. ამას კარგად მ

**პარტიული ცხოვრება:**

**მანიფესტიული სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი!**

# ხარისხი მთავარი რეზერვია

**პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის კლენუმი**

**სოციალური** და ეკონომიკური განვითარების 1985 წლის გეგმის, მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაწლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ქალაქ ზუგდიდს მერვედ გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ახლა მთავარია არა მარტო მიღწეულის განმტკიცება, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებული განვითარება, ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის კონკრეტული გზების დასახვა, ჩვენი მთავარი რეზერვის — პროდუქციის ხარისხის მუდმივი ამაღლება, ხოლო ამას რომ მივაღწიოთ, უნდა სრულყოთ, ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული და სამეურნეო მოღვაწეობის სტილი და მეთოდები. აი საკითხთა წრე, რომელთა გარშემო გაიმართა საქმიანი საუბარი პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც მოისმინა და განიხილა. საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. ზოდელავას მოხსენება — სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადწყვეტილებებიდან გამომდინარე საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

ზუგდიდი ახალგაზრდა, მზარდი სამრეწველო ქალაქია. სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული პროგრამის შესაბამისად 1990 წლისათვის მისი სამრეწველო წარმოების მოცულობა უნდა გაიზარდოს 19-22 პროცენტით.

ახალი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამრეწველო საწარმეტების ამოქმედება, არსებულთა რეკონსტრუქცია-გაფართოების მასშტაბი, რომელთა ეკონომიკურ განახლებას მეთორმეტე ხუთწლედში 14 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება მოხმარდება, იმის მტკიცე გარანტიას შექმნის, რომ მკვეთრად ამაღლდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, გაფართოვდეს ასორტიმენტი.

პლენუმზე პირუთვნელად ითქვა, რომ ქალაქის სამრეწველო საწარმოებს პროდუქციის უხარისხობის გამო დიდი ზარალი მოსდით. მარტო შარშან წუნაინა პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდებისათვის საწარმოებმა ჯარიმის სახით გადაიხადეს 519 ათასი მანეთი. ამ თანხის დიდი ნაწილი მოდის ისეთ წამყვან საწარმოებზე, რომლებიც ქალაქის მრეწველობაში ამინდს ქმნიან. დიახ, პროდუქციის ხარისხი და მასთან დაკავშირებული საკითხები ქალაქ ზუგდიდში „აქილევსის ქუსლია“ და მისი მკვეთრი გაუმჯობესების ამოცანის გადწყვეტას მტკიცედ უნდა ჩასჭიდონ ხელი ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა.

პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიკური ზრდის დაჩქარების სტრატეგიის განხორციელებას გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ ქალაქის სამრეწველო საწარმოებს მართებთ რეზერვების მაქსიმალური გამოყენება. კერძოდ, იმ რეზერვებისა, რომლებიც აქ მოითხოვს დიდ დანახარჯებს სწრაფ და საგრძნობ ეფექტს კი იძლევა.

პლენუმზე ბევრი საყვედური გამოითქვა სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობაზე. ქალაქში არ არის მიღწეული სამშენებლო წარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გადიდება, ობიექტების ნორმატიულ ვადებში ამოქმედება, მშენებლობის ხარისხის გაუჯობესება. მშენებელთა სუსტი მუშაობის გამო შარშან საეკსპლოატაციოდ ვერ გადაეცა 5, ხოლო სახელმწიფო გეგმები ვერ შესრულდა 13 ობიექტზე. დაუშვებლად ჭიანურდება ზუგდიდის ხორცკომბინატის მშენებლობა, სადაც შარშანდელი დავალების შესრულებას 500 ათასი მანეთი დააკლეს. ჩამორჩენამ თითქმის ქრონიკული ხასიათი მიიღო პურპროდუქტების ბაზის მშენებლობაზეც.

ენგურჰესის მშენებლობის საგმართველო უკვე ორი ათეული წელია ქალაქში ბინათმშენებლობას ეწევა საეკსპლოატაციოდ მათი გადაცემის ნორმატივების უხეში დარღვევით, მაგრამ ამ მდგომარეობას რატომღაც, ურიგდებიან ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ანდრონიკაშვილმა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება და დაამტკიცა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებების გეგმა.

**ვ. ჩაჩიბაია,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

**18 აპრილს** გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 1986 წლის I კვარტლის შედეგები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ XXVII ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად მოსთხოვა სსრ კავშირის უწყებათა-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა თანამიმდევრულად და განუხრელად სრულიადფიცის ყრილობის გადწყვეტილებანი, პარტიის ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების დებულებანი და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი.

განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ვ. ტალიზინისა და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. ი. გოსტევის მოხსენებანი მიმდინარე წლის I კვარტალში სახალხო მეურნეობის მუშაობის შედეგების შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა: იმის შედეგად, რომ ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება და დიდ შემოქმედებითს აქტიურობას იჩენენ შრომითი კოლექტივები ყრილობაზე მიღებულ გადწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, აგრეთვე განხორციელდა ღონისძიებანი წესრიგისა და დისციპლინის დასამყარებლად, — გაიზარდა განვითარების ტემპი, გადიდდა ეკონომიკის ეფექტიანობა, ხორციელდება ღონისძიებანი ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

სამრეწველო წარმოების მატებამ 1986 წლის I კვარტალში 1985 წლის I კვარტალთან შედარებით შეადგინა 6,7 პროცენტი (წლიური გეგმით გათვალისწინებული 4,3 პროცენტის ნაცვლად). სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, მისი შესრულება უზრუნველყვეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და სამრეწველო სამინისტრომ, ნავთობის მრეწველობის სამინისტროს გარდა. დადებითი ძვრები მოხდა ინდუსტრიის საკავშო დარგებში, უწყნარეს ყოველისა, მანქანათმშენებლობაში, მეტალურგიასა და გზის მრეწველობაში. კარგი შედეგებით დაამთავრეს I კვარტალი ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა. მეურნეობრიობის ახალ პირობებში მომუშავე სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების სამეურნეო საქმიანობის შედეგები უკეთესია, ვიდრე მთლიანად მრეწველობაში.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ძირითადად დაასრულეს საგაზაფხულო თესვის სამზადისი და შეუდგნენ მინდვრის სამუშაოებს. გასულ წელთან შედარებით უკეთეს პირობებში მთავრდება პირუტყვის გამოზამთრება, იმატა საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობამ. პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვა 1985 წლის I კვარტალთან შედარებით გადიდდა 7,6 პროცენტით. რძისა და კვერცხისა — 6 პროცენტით, რამაც შესაძლებელი გახადა გაუმჯობესებულიყო მოსახლეობის მომარაგება სასურსათო საქონლით.

გაფართოვდა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების მასშტაბი.

გაუმჯობესდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა. გეგმის გადაჭარბებით გადაზიდულია 35,7 მილიონი ტონა ტვირთი.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 6,3 პროცენტით წლიური გეგმით გათვალისწინებული 4,1 პროცენტის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატების 94 პროცენტი და რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთნიდვის მოცულობის მთელი მატება, გაიზარდა მოგება.

დაიწყო მეთორმეტე ხუთწლედის სოციალური პროგრამის განხორციელება. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1986 წლის I კვარტალში 185 წლის I კვარტალთან შედარებით გადიდდა 3 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვა (ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის გაუთვალისწინებლად, რომელთა გაყიდვაც მნიშვნელოვნად შემცირდა) გაიზარდა 8,6 პროცენტით და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა — 7,5 პროცენტით. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების სახსრებით აშენებულია დიდძალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები..

ამასთანავე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები, მთელი რიგი გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები ნელა გარდაქმნიდნენ თავიანთ საქმიანობას ახალი მოთხოვნების შესაბამისად, მუშაობდნენ 1986 წლის I კვარტალში არსებულ შესაძლებლობებზე უარესად. მთლიანად პროდუქციის რეალიზაციის გეგმის გადაჭარბების მიუხედავად გეგმის შესრულებამ მიწოდების ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებათა გათვალისწინებით დააკლდა 2,1 მილიარდი მანეთი. ყველაზე მეტი ჩამორჩენა დაუშვეს ნავთობის მრეწველობის, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროების გაერთიანებებმა და საწარმოებმა და სსრ კავშირის სახალგრომრეწვის ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის საწარმოებმა. სსრ კავშირის მთელმა რიგმა უწყება-სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ვერ უზრუნველყვეს ახალი ტექნიკის გეგმების შესრულება, დაუშვეს არსებითი ჩამორჩენა სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების მშენებლობაში.

სსრ კავშირის საბალმწიფო ბიუჯეტი 1986 წლის I კვარტალში შესრულდა შემოსავლის ნაწილში 96,9 პროცენტით და გასავლის ნაწილში — 96 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალა მიღონ, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ქმედითი ზომები, რათა დაამკვიდრონ და განავითარონ სახალხო მეურნეობის მიერ 1986 წლის I კვარტალში მიღწეული დადებითი შედეგები, უზრუნველყონ საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სტაბილური, რიტმული მუშაობა. უცილობლად და გადაჭრებით შეასრულონ 1986 წლის გეგმის დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, და უკვე მომდინარე წელს გადადგან მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზაზე, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას.

ძირითადი მეცადინეობა უნდა მოხმარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, საწარმოო ფონდების განახლებას, პროდუქციის ხარისხის გაუჯობესების მხრივ ძირეული შემობრუნების უზრუნველყოფას და პირობების შექმნას საამისოდ, რომ სახალხო მეურნეობის დარგებმა დალაშქრონ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე მაღალი მოწვეთები. საჭიროა გამკაცრდეს ეკონომიის რეჟიმი, უზრუნველყოფილ იქნეს მთელი რესურსების რაციონალური გამოყენება, გაძლიერდეს ადამიანის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, გაუმჯობესდეს მუშაობა მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გაერთიანებებისა და საწარმოების გადასვლისათვის მოსამზადებლად.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცათ წინადადება გააორკეცონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ოპტიმალურ ვადებში და მაღალხარისხოვანად ითესოს ოსტეოს ოსეთის საგაზაფხულო სამუშაოები, ეფექტურად გამოიყენონ ინტენსიური ტექნოლოგიები, ასევე ინტენსიური ტექნოლოგიებისთვის მოიხმარონ სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, დროულად მოემზადონ მოსავლის აღებებს, ჭირნახულის მოღებისა და გადამუშავებისათვის.

მწვავე კრიტიკული შეფასება მიეცა კაპიტალური მშენებლობის საქმეთა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. სსრ კავშირის მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მისცეს განიხილონ იმ საკითხთა თეული კომპლექსი, რომლებიც ეხება სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის გაძლიერებას, მშენებლობის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას, კაპიტალური დაბანდების კონცენტრაციას და მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი.

იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა მაღალი ხარისხისა და საჭიროა ასორტიმენტის სახალხო მოხმარების საქონელზე, აგრეთვე გაფართოვდეს მომსახურების სფერო, სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცეთ უზრუნველყონ შესაბამის საგეგმო დავალებათა უცილობელი შესრულება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები. ჰ. ა. ალიევი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვა.

სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი. (საკდმსი).

**სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 64 წლისაა**

# აღმშენებლობის ხანა

**ფ. ს. სანაკოევი,**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი**

**შეფასებულნოთ** საზოგადოება ახალი ამოცანებისაკენ, მათს გადაწყვეტას მოკახმაროთ ხალხის, თითოეული შრომითი კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალი — ასეთია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პირობა. სკკპ XXVII ყრილობის ამ საპროგრამო დებულებას ყველაზე ნათლად განსაზღვრავს მიზნები, რომლებიც დასახული აქვთ კომუნისტებს, ყველა მშრომელს ახლანდელ გარდამტეხ მომენტში. ისინი უშუალოდ ეხება სამხრეთ ოსეთსაც, რომლის მშრომელებმა ავტონომიური ოლქის შექმნის 64 წლის მანძილზე საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ის ოდესღაც ჩამორჩენილი განაპირა მხარე, რომელსაც კუსტარული სახელოსნოებიც კი არ ჰქონდა, გაიყვანეს სოციალისტური მშენებლობის მოწინავე მიჯნებზე.

მეთორმეტე ხუთწლედში და 2000 წლამდე პერიოდში დასახული გვაქვს ამოცანები, რომელთა განხორციელებამ ძირეულად უნდა გარდაქმნას ავტონომიური ოლქის მთელი სახალხო მეურნეობა. რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს მიღწეული, ჩვენ მას მივიჩნევთ სასტარტო მოედნად ახალი, განუზომლად უფრო მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომელთა მიზანია ეკონომიკის, ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი აღმავლობა.

ძირითადი პარამეტრები, რომლებსაც უნდა მიეღწიოს ოლქის ეკონომიკამ, განსაზღვრულია ხუთწლედისათვის შემუშავებულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებში. მომავალი 15 წლის განმავლობაში უნდა შეიქმნათ ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც ბევრად აღემატება სამხრეთ ოსეთში მთელი გასული წლების მანძილზე დაგროვილს. საჭიროა მეურნეობის მეთოდების სრულყოფა, ყველა იმ კადრის აზროვნებისა და მუშაობის გარდაქმნა, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ დასახული მიზნების მიღწევა.

ამ საკითხთა გადაწყვეტის მთავარი საშუალება, როგორც აღინიშნა პარტიის XXVII ყრილობაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და საზოგადოების საწარმოო ძალებისა და წარმოების ურთიერთობის ძირეული გარდაქმნაა.

მთელი ყურადღება უნდა გადავიტანოთ რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ხარისხსა და ეფექტიანობაზე, შუალედურიდან — საბოლოო შედეგებზე, საწარმოო ფონდების გაფართოებიდან — მათს განახლებაზე, სათბობ-სანედლეულო რესურსების ზრდიდან — მათი გამოყენების გაუმჯობესებაზე.

ომისათვის, რომ მომავალი 15 წლის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა გავაორკეცოთ, უკვე მომდინარე ხუთწლედში პროდუქციის გამოშვება 30-35 პროცენტით უნდა გავზარდოთ. ასეთ დონეზე უნდა ავიყვანოთ შრომის ნაყოფიერებაც, რომ 1990 წლისათვის ამ ფაქტორის მეშვეობით უზრუნველყოთ წარმოების მოცულობის მთელი მატება.

ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა მივაყოროთ ხელის შრომის წილის შემცირებას — დღეს ოლქის მრეწველობაში არა ქვაფიციური ხელის შრომით დასაქმებულია ყველა მომუშავის 40 პროცენტზე მეტი. ხუთწლედის წლებში ერთიორად და მეტად უნდა ავამაღლოთ მექანიზაციის დონე, ეს არის პრობლემა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ განვითარებას. დღეს არ ქმარა უზრუნველყოთ ადამიანი სამუშაოთი. ამ სამუშაოს ქმაყოფილება უნდა მოჰქონდეს მისთვის და ამასთან იყოს შემოქმედებითი, ეფექტიანი. საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება ყოველთვის იყო ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში და დღეს ეს განსაკუთრებული ამოცანაა. უშუალოდ მისი რეალიზაციის კალაპოტშია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს ყოველმხრივ განვითარების ამოცანა. მეთერთმეტე ხუთწლედში ოლქის მრეწველობაში მივაღწიეთ ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, ეს ეფექტი ოლქში ორ-სამ ჯერ ნაკლებია, ვიდრე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი. ეს ფაქტორი ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორია, ოლქის ეკონომიკის ეფექტიანობის ასამაღლებლად.



**მაღალი** კულტურის კოლექტივი. ამ საპატიო წოდებას 1984 წელს ატარებენ ცხინვალის № 1 აფთიაქის პროვიზორები და ფარმაცევტები, რომლებსაც არაერთგზის გაუმარჯვიათ ავტონომიური ოლქის მედიცინის დაწესებულებათა შორის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. აფთიაქში შეიძლება შეიძინო არა მარტო საჭირო პრეპარატები, არამედ მიიღო კიდეც სპეციალისტის კვალიფიციური კონსულტაცია, აგრეთვე შეუკვეთო წამალი შინ მიტანით.

**სურათებზე:** ფარმაცევტები, კომკავშირელები ლალი ბებილოვა და თინა ფენაშვილი; სანიტარტანსაცმელში.

**ლ. გუსოვის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).**

# ვახტი ორგიტაზე

**ფრანკის ბართვის ცენტრი,** 18 აპრილი. (საკდმსი). მიმდინარეობს ლეონიდე კიზიმისა და ვლადიმერ სოლოვიოვის კოსმოსური ფრენის მეექვსე კვირა.

„ეკიპაჟი ახალი ორბიტული სადგურის „მირის“ გამოცდის პარალელურად ასრულებს მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოებს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის პროგრამის მიხედვით. ახლა სახელმწიფო ცენტრის „ბუნების“ მიერ შემუშავებული მეთოდიკით კოსმონავტები ასრულებენ ტიპობრივ ბუნებრივ ობიექტებზე ვიზუალურ დაკვირვებათა რამდენიმე სერიას. მათი მიზანია შეისწავლონ ატმოსფერული შეფერხებებისა და განათების პირობების გავლენა გეოფიზიკურ გამოკვლევაზე.

სადგურ „მირის“ დინამიკური მახასიათებლებისა და მასზე მოქმედი დატვირთვის მოცულობის განსაზღვრისათვის გუშინ მოეწყო ტექნიკური ექსპერიმენტი „რეზონანსი“. ექსპერიმენტი სრულდებოდა კომპლექსის ორბიტის კორექციის პროცესში.

ტელემეტრიული ინფორმაციის შედეგებისა და ეკიპაჟის მოხსენებების მიხედვით „მირ“ — „სოიუზ ტ-15“ — „პროგრეს-25“ პილოტირებული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები ლეონიდე კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.





# ეძიებს რეზერვებს

სათვის აგროსამრეწველო გაერთიანებაში უნდა არსებობდეს მეთესლე აგრონომების სპეციალური სამსახური, რომლებიც უნდა სწავლობდნენ თავისი რაიონის ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებს და შესაბამისად ახდენდნენ კულტურებისა და ჯიშების განლაგებას. ისინი სელექციონერებთან კავშირით უნდა მიმართავდნენ ამრობაციას, საუცხო ინდივიდების გამორჩევასა და გამრავლებას, რადგან მხოლოდ ასეთი გზით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სხვა ღონისძიებებს, შეიძლება მოსავლის 25-30 პროცენტით გაზრდა.

არსებობს ლიმონის ფართოდ გავრცელების ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი. ერთნი ამტკიცებენ, რომ ლიმონი უნდა მოვიყვანოთ მხოლოდ ღია გრუნტის პირობებში, შეირჩეს მისთვის თბილი მიკრონაკვეთები; მეორენი კი მხოლოდ ჯგუფურ გადახურვას ან ლიმონარიუმებს ურჩევენ. ჩვენი აზრით, ლიმონის კულტივირება უნდა მოხდეს ყველა ღონისძიების გამოყენებით. ამრიგად, ლიმონის ფართოდ წარმოებისათვის საჭიროა: ბუნებრივი ლიმონარიუმის, მარტივი კონსტრუქციის ლიმონარიუმის, ინდუსტრიული კონსტრუქციის ლიმონარიუმის, ოთახების მიკროლიმონარიუმის და სხვა ბაღები. სხვადასხვანაირ ბაღს კი სათანადო ჯიშები და შესაფერისი აგროტექნიკა სჭირდება.

ყველა სიახლე, რომლებიც საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს აქვს, საყოველთაო დათვალიერების ობიექტია. მას ეცნობიან სტუდენტები, წარმოების მუშაკები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელები და სხვა. სიახლეთა ადგილზე გაცნობით შეიძლება ისარგებლოს ყველამ, ვისაც ამის სურვილი ექნება. მხოლოდ მეცნიერების წარმოებასთან დაკავშირებით შეიძლება მივაღწიოთ იმ მაღალ შედეგებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა გვისახავენ.

ამრიგად, ლიმონის წარმოება რესპუბლიკაში საგრძნობლად გაიზრდება თუკი მას განვახორციელებთ ერთობლივად, არამედ სხვადასხვა ფაქტორთა ერთიანობაში.

**ნ. ქარქაშაძე,**
**საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი,**
**შ. სურგულაძე,**
**მემცენარეობის, გენეტიკისა და სელექციის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი,**
**თ. მიქაბერიძე,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# ლიმონის წარმოების გაფართოების გზები

**ქვეყნის** სასურსათო პროგრამის შესრულება მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის, დასახული გეგმების რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სურსათის რაციონის მრავალფეროვნება გვიკარნახებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურულ განვითარებას. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში კი მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ციტრუსების, კერძოდ ლიმონის წარმოების გადიდებას.

„ლიმონი მეტია, ვიდრე რომელიმე ხილი. თავისი სურნელით, ფერით, გემოთი, შემცველობით ის სიცოცხლის ელექსირის განსახიერებაა, ლიმონი უნდა „შეუნარჩუნოთ შთამომავლობას“. — ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ საბჭოთა მეცნიერს, აწ განსვენებულ პროფესორ ფილიპე მამფორიას, რომელმაც მეთი თავისი ცხოვრება ადამიანისათვის ამ მეტად სასარგებლო ნაყოფის მომეცემი მცენარის შენარჩუნებას შეალია; თვითონ კი ამ ქვეყნიდან წასულმა თამომავლობას ახალი ჯიშის ლიმონი „დიოსკურია“ დაუტოვა.

ქართველმა კაცმა ლიმონი ისევე შეიყვარა და შეისისხლხორცა, როგორც ვაზი. ჩვენ ამ კულტურის მარტო სილამაზემ და სურნელმა როდი მოგვხიბლა. იგი შეიყვარეთ თავისი განუმეორებელი სამკურნალო თვისებებით. სწორედ ამიტომ არის, რომ მას არა მარტო საზოგადოებრივ მეურნეობათა და საკარმიდამო ნაკვეთებზე აშენებენ, არამედ ოთახშიც მოჰყავთ. ლიმონის პოპულარობა იმდენად დიდია, რომ იმ ზონებშიც კი, სადაც მისი მოვლა-მოყვანის არავითარი პირობა არ არის, ამ მცენარეს საბუერებსა და ლიმონარიუმებში აშენებენ.

საქართველოში ჯერ კიდევ XX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ლიმონი 6.000 ჰექტარამდე ფართობზე იყო გაშენებული, აქედან უმეტესად ქართული ჯიშის ლიმონის ბაღები გვქონდა. ამ ლიმონს მსოფლიოში ბადალი არა აქვს, მაგრამ გამოჩნდა მისთვის დამღუპველი სოკოვანი დაავადება მალსეკო და მუსრი გაავლო მას. მსოფლიოს მრავალი სამეცნიერო ცენტრი მუშაობს მალსეკოს წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემუშავებაზე, მაგრამ ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

ლიმონის მცენარეზე მტკივნეულად მოქმედებს ტემპერატურის დაქვეითება, ყინვები. მისი დაზიანება მინუს 4-5 გრადუსიდან იწყება, ხოლო ჩვენში ტემპერატურა ხშირად მინუს 10-12 გრადუსზეც კი მეტია. სწორედ ამ ორი მეტად მწვავე ფაქტორის გავლენით 1984 წლისათვის ლიმონის ბაღები რესპუბლიკაში 650 ჰექტარამდე შემცირდა. თითქმის სულ გაქრა ლიმონის აღიარებული ჯიში „ქართული“, დღეისათვის ენთუზიასტების მეცადინეობით მისი თითო-ოროლა მცენარე თუ შემოგვრჩა აქა-იქ.

ომის გამო, რომ უნივერსალური ჯიშები არ არსებობენ, ყინვაგამძლეობის, მალსეკოგამძლეობის, საერთოდ უხვი მოსავლის მიღების პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ჯიშისა და შესაფერისი აგროტექნიკის კომპლექსური გადაწყვეტის პირობებში.

ხანგრძლივი სელექციური მუშაობა, რომელიც წარმართა აწ განსვენებულმა პროფესორმა ფილიპე მამფორიამ, იყო მეტად რთული, მაგრამ ეფექტიანი. გამოყვანილია მსოფლიოში პირველი შედარებით ყინვა და მალსეკოგამძლე, უხვმოსავლიანი ჯიში „დიოსკურია“, რომელიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გულისხმიერებითა და თანადგომით ფართოდ ვრცელდება მეურნეობებში. დაგეგმილია კიდევ უფრო გაფრმავდეს და დაჩქარდეს სელექციური მუშაობა სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებსა და ლიმონნარიუმებში მისი გამრავლებისათვის. პრობლემა მაინც ლიმონი „ქართულის“ შენარჩუნებაა. ამჟამად ლიმონის მთელი მატება, გაიზარდა მოგებაც.

დაიწყო მეთორმეტე ხუთწლედის სოციალური პროგრამის განხორციელება. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1986 წლის I კვარტალში 1985 წლის I კვარტალთან შედარებით გადიდდა 3 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვა (ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის გაუთვალისწინებლად, რომელთა გაყიდვაც მნიშვნელოვნად შემცირდა) გაიზარდა 8,6 პროცენტით და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა — 7,5 პროცენტით. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების სახსრებით აშენებულია დიდძალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები..

ამასთანავე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები, მთელი რიგი გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები ნელა გარდაქმნიდნენ თავიანთ საქმიანობას ახალი მოთხოვნების შესაბამისად, მუშაობდნენ 1986 წლის I კვარტალში არსებულ შესაძლებლობებზე უარესად. მთლიანად პროდუქციის რეალიზაციის გეგმის გადაჭარბების მიუხედავად გეგმის შესრულებამ მიწოდების ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებათა გათვალისწინებით დააკლდა 2,1 მილიარდი მანეთი. ყველაზე მეტი ჩამორჩენა დაუშვეს ნავთობის მრეწველობის, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროების გაერთიანებებმა და საწარმოებმა და სსრ კავშირის სახაგრომრეწვის ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის საწარმოებმა. სსრ კავშირის მთელმა რიგმა უწყება-სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ვერ უზრუნველყვეს ახალი ტექნიკის გეგმების შესრულება, დაუშვეს არსებითი ჩამორჩენა სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების მშენებლობაში

# 20 აპრილი საბჭოთა მეცნიერების დღე

**უაღრესად ღირსშესანიშნავ მოვლენათა შორის, რომლებთანაც ჩვენი ქვეყნისა და პარტიის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიმკვიდრებს სკკპ XXVII ყრილობა, გამორჩეულად აღსანიშნავია ამ ორი უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტის მიღება: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია)“ და „საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები“.**

**ყრილობის მიერ ღრმა მეცნიერული შორსმჭვრეტელობით შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგია ცხადყოფს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის დაჩქარება წარმოების ეფექტიანობის გაზრდის მთავარი ბერკეტია.**

**პროგრამის იმ ნაწილში, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის დაჩქარების საკითხებს ეხება, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აუცილებელია სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქცია, უნდა მივაღწიოთ ჩვეულნის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შემდგომ ზრდას, რადიკალურად გავაუმჯობესოთ ბუნებრივი რესურსების, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის გამოყენება ყველა სტადიაზე — ნედლეულის მოპოვებიდან და კომპლექსური გადამუშავებიდან საბოლოო პროდუქციის გამოშვება-გამოყენებამდე.**

## ანგარიშს აბარებს მეცნიერება

# ინტეგრაციის გზით

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის დაჩქარების ძირითადი არსი ის გახლავთ, რომ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, წარმოების ყველა რგოლში უმოკლეს ვადაში ენერგოს ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიური პროცესები, რაციონალიზატორული წინადადებანი მოწინავეთა გამოცდილება, საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და მისი ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას, — **თქვა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შარლიოზ ფარნაოზ ფუღაშვილმა.**

— ალბათ არაა არა უბრალოდ სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპებზე, არამედ ჩვენი განვითარების ახალ ხარისხზე, უმთავრესი სტრატეგიული მიმართულებებთან ერთად წინსვლაზე ისევ და ისევ მეცნიერებასა და წარმოებას შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებაზე, მეცნიერულად დამუშავებული და დასაბუთებული რეკომენდაციის პრაქტიკაში (სწრაფესად დანერგვაზე. პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში მუდამ იქნება პროდუქციის ტექნიკური დონის და ხარისხის განუხრელი ამაღლება. საბჭოთა მარკის პროდუქციის ხარისხი, მართლაც, პროფესიული და პატრიოტული საამაყოს საგანი უნდა იყოს.

XI ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა წარმოების ეფექტიანობის ასაამაღლებლად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. უმაღლესხარისხიანი პროდუქციის ბედრითმა წილმა მთლიანად წარმოებული პროდუქციის მოცულობაში 1985 წელს 50 პროცენტი შეადგინა. ამ მაჩვენებლით საქართველო ახლა ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

მოგეხსენებათ, პარტიის პროგრამაში განსაზღვრულია აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განმტკიცებისა და ეფექტიანობის გადიდების ამოცანები. სასურსათო პროგრამის განხორციელება საერთო სახალხო საქმეა მიჩნეული.

პროგრამის იმ ნაწილში, რომელიც მეცნიერების დარგს ეხება, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დღეიდან უნდა უმჯობესდებოდეს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმები, იზრდებოდეს კვლევის სიღრმე და მისი შედეგიანობა.

მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის მკაფიო მაგალითია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“. სწავლულთა კოლექტივის მიერ გამოყვანილი „ქართული-9“ მარტივი ხაზთაშორისი სიმინდის ჰიბრიდის ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში (წლეულს მას 35 ათასი ჰექტარი დაეთმობა). ამ ჰიბრიდის პოტენციური მოსავლიანობა ჰექტარზე 100 ცენტნერია. იგი გვალვაგამძლეა, საადრეო, სავეგეტაციო პერიოდი განისაზღვრება 100—110 დღით, მაშინ, როცა დარაიონებული და წარმოებაში დღესდღეობით გავრცელებული სიმინდის ჯიშების სავეგეტაციო პერიოდი 130-140 დღეს აღემატება.

მათი ერთობლივი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. „საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის“ ნათლად და ყოველისმომცველად წარმოიჩენს ჩვენს უშუალო სამოქმედო ამოცანებს. იგი მოითხოვს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრაში, პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავების ორგანიზაციაში, კონტროლის განხორციელებაში დარგების მეცნიერულ-ტექნიკური დონისადმი და სხვა.

ცხადია, ყოველივე ეს მთლიანად ეხება საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობასაც.

ახლა, როცა ვაფასებთ განვლილი ხუთი წლის მანძილზე გაწეული შუაობის შედეგებს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევისა და დაგეგმვის პროგრამა ყოველივე ეს იმასაც გულისხმობს, რომ პიბრიდი „ქართული-9“ მოკლე სავეგეტაციო პერიოდის გამო კარგი სანაწვერალო კულტურაც გახლავთ.

პარტიის პროგრამა დაბეჯითებით მოითხოვს აკადემიური, უმაღლესი სასწავლებლებისა და დარგობრივი მეცნიერების ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებას, ეს ერთობლივი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. „საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის“ ნათლად და ყოველისმომცველად წარმოიჩენს ჩვენს უშუალო სამოქმედო ამოცანებს. იგი მოითხოვს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრაში, პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავების ორგანიზაციაში, კონტროლის განხორციელებაში დარგების მეცნიერულ-ტექნიკური დონისადმი და სხვა.

ბევრი აქტუალური საკითხის მიხედვით წარმართული მეცნიერული გამოკვლევები, რომლებიც პროგრამებით გვაქვს გათვალისწინებული, დამთავრდა ან დამთავრების სტადიაშია. მთავარი ყურადღება ახლა დაეთმობა შემუშავებული მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვას პრაქტიკაში, მთა სრულყოფას, წარმოების ეფექტიანობის გადიდებას.

ჩვენი კომიტეტის უმთავრესი საზრუნავია მიზნობრივი და კომპლექსური პროგრამები სავსებით დაუკმაყოფილებელია პარტიის ახალი პროგრამისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნებს, სახელდობრ: სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი პრობლემის დამუშავებისას აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ სხვადასხვა მიმართულებისა და პროფილის მეცნიერული ძალები, თავიდან აგვეცილებინა არასასურველი „დუბლირება, უფრო ეფექტიანად გამოგვიყენებინა ფინანსური და მატერიალური საშუალებანი.

ამ მიზნის მისაღწევად რთული პრობლემის დასამუშავებლად (კერძოდ, ვგულისხმობ ჭიათურის დაბალხარისხოვანი მარგანეცის გამოყენების, კოლხეთის ჭარბტენიანი ნიადაგების დაშრობა-ათვისებისა და დამლაშებული ნიადაგების მელიორაციის, მედიცინაში, ფარმაკოქიმიისა და სოფლის მეურნეობაში სტაბილური იზოტოპების გამოყენების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის, მეცნიერული და პედაგოგიური კადრების მომზადების სრულყოფის, უცხოეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისა და სხვა პრობლემებს) გაგვეერთიანებინა სხვადასხვა მიმართულებისა და პროფილის მეცნიერული ძალები, თავიდან აგვეცილებინა არასასურველი „დუბლირება“ ეთმობა მეცნიერულად. დამუშავებული ღონისძიებების პრაქტიკაში უსწრაფესად დანერგვას, უფრო აქტუალური უნდა გახდეს აგრეთვე რესპუბლიკის სამეცნიერო ორგანიზაციების კვლევის თემატიკა.

კომიტეტის საქმიანობაში ასევე დიდი ადგილი ეთმობა საეკსპერტიზო საკითხების მაღალკვალიფიციურად გადაწყვეტას, რესპუბლიკაში საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის მოგვარებას, დარგების განვითარების მეცნიერულ-ტექნიკური დონის განსაზღვრას და სხვა.

სერიოზული მუშაობა მოგვეთხოვება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების კომპლექსურად შესასწავლად, როგორიც სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შექმნაა.

ცნობილია, რომ მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციის ამ უაღრესად პროგრესულმა ფორმამ აღიარება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაშიც. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან პრაქტიკულად მოიხსნა ბარიერი, რომელიც სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ხელს უშლიდა, აქიანურებდა მეცნიერული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვას.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების საუკეთესო მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ გაერთიანება „თავთავი“, რომლის საქმიანობაც დადებითად შეაფასა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, ამასთან დაუსახა მას ახალი კონკრეტული ამოცანები, რომელთა პრაქტიკული გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, წინ დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება მოგველის, რაც უაღრესად დაძაბულ, ეშმარიტად შემოქმედებით შრომას მოითხოვს ყოველი ჩვენგანისაგან, — ეს იქნება სამეცნიერო ლაბორატორიებში, ფაბრიკა-ქარხნის საამქროებში, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ საკოლმეურნეო ველ-მინდვრებში.

მხოლოდ დაძაბული და შთაგონებული შრომით მივაღწევთ პარტიის XXVII ყრილობის წინასწარდასახულებათა წარმატებით შესრულებას.

## სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — სახალხო მეურნეობას

# დაიდო ხელშეკრულება



## ქართველ მათემატიკოსთა წვლილი



**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სპეციალისტები აქტუალურ პრობლემებზე მუშაობენ. გარდაბნის რაიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური განლაგების ამოცანის შემუშავებულმა მათემატიკურმა მოდელმა შესაძლებელი გახადა ეფექტიანით პრაქტიკული გაანგარიშებანი უდიდესი საგარეუბნო რეგიონის ზღვრულ შესაძლებლობათა დასადგენად. უფრთო პრაქტიკულ გამოყენებას პოვებს თბილისელ მეცნიერთა მიერ შექმნილი შემთხვევითი რიცხვების ორი გენერატორი, რომლებიც უკვე წარმატებით მოქმედებენ ლენინგრადსა და საქართველოს დედაქალაქში.**

**ინსტიტუტის მათემატიკოსებმა შეიმუშავეს ორიგინალური ალგორითმები და ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკური გაერთიანებისათვის საპროგრამო უზრუნველყოფის სისტემა (შექმნეს სადიალოგო საინფორმაციო-ლოგიკური სისტემა — ქვეყანაში ამგვარი ტიპის სისტემათაგან ერთ-ერთი პირველი. ფართო გამოყენება პოვა სპეციალურმა მეთოდმა და შესაბამისმა ალგორითმმა). იგი გამოიყენება წინასწარ დაძაბული ასაწყობი რკინაბეტონის მაღალი მილების, კოშკურებისა და სახურავების მშენებლობის პრაქტიკაში.**

**ხუროთმოძღვრებაში: უფროსი ინჟინერი ნოდარ იაკობაშვილი; ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის სამანქანო დარბაზში მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები, უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატები დუღლას უგულავა და ვაჟა ტარიელაძე ანგარიშობენ გამოყენებითი მნიშვნელობის მათემატიკურ ამოცანებს.**

**შ. აიშაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**



**სსრ კავშირის** ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია, რომ საჭიროა საველე და მდელო-საძოვრული საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე არსებითად გავზარდოთ უხეში და წვნიანი საკვების წარმოება... ძირეულად გავაუმჯობესოთ საკვების სტრუქტურა და ხარისხი.

ამ მეტად აქტუალური და რთული საკითხის გადაწყვეტაში საკვებწარმოებლებსა და მეცხოველეებს მხარი მეცნიერებმა უნდა მისცენ. ეს კი თავის მხრივ ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილი დანერგვისა და პარტნიორობის ორგანიზაციის სექტორისა, რომელიც ხელმძღვანელობს აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების მეცნიერულ კავშირურთიერთობას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთან.

მეცნიერულ მიღწევათა სახალხო მეურნეობაში დანერგვის მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტმა (დირექტორი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნახუცრიშვილი) ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონთან გააფორმა ოთხი ხელშეკრულება, რომელთა თანახმადაც ინსტიტუტმა ვალდებულება აიღო, უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს კონკრეტულ რაიონში სამეცნიერო კვლევის შედეგების დანერგვას.

1985 წლის დასაწყისში ინსტიტუტმა ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოს კოლმეურნეობასა და საკვებმომპოვებელ მეურნეობასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მეურნეობათა საკვები სავარგულების მოსავლიანობის ზრდას ორგანული და მინერალური სასუქების სხვადასხვა ტიპისა და ნორმის ზემოქმედებით. ამ ხელშეკრულების ვადა ორ-ნახევარი წელიწადია. როცა ეს დრო გავა, 1987 წლის შემოდგომისთვის, გათვალისწინებულია მაქსიმალური ეფექტის მიღება. შარშანდელი, 1985 წელი, ერთგვარად ექსპერიმენტული იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასანერგ ფართობზე მეცნიერებსა და საკვებმომპოვებელს ერთობ საამედო შედეგი ჰქონდათ. სავარგულების მოსავლიანობა საშუალოდ 55 პროცენტით გაიზარდა, ამასთან გაუმჯობესდა სავარგულების ბალახნარის ბოტანიკური შედგენილობა, იმატა ისეთი მაღალი კვებითი ღირებულების ბალახეული მცენარეების წილმა, როგორიცაა ისფერი ქერი, მდელოს ტიმოთელა, ჭრელი შვრილა, ნამიკრეფია, მდელოს წივანა, წითელი სამყურა. საკვები სავარგულების ბალახნარში მარცვლოვანების წილი 46 პროცენტით მეტია, პარკოსნებისა — 32, ხოლო ნაირბალახების წილი საგრძნობლად შემცირდა (22 პროცენტით ნაკლებია).

ჯავის რაიონის საკვები სავარგულების გაუმჯობესებაზე ასეთივე ხელშეკრულება ინსტიტუტმა დადო როკის საბჭოთა მეურნეობასთან. აქ გათვალისწინებულია სავარგულების როგორც ზედაპირული, ისე ძირეული გაუმჯობესება მაღალი კვებითი ღირებულების ბალახების შეთესვის გზით. დასანერგ ფართობზე მოსავლიანობის ზრდამ 58 პროცენტს გადააჭარბა.

სოიის ნათესების მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა საგარეჯოს რაიონის გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობასთან. ბაქტერიული პრეპარატის „ნიტრაგინის“ ზემოქმედებით ნათესებზე 20 პროცენტით მეტი მოსავალი მოვიდა. ბაქტერიზებული ნათესების ყოველი ჰექტარიდან მეურნეობამ მიიღო 16 მანეთის დამატებითი შემოსავალი.

ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები პრაქტიკული ხასიათის სხვა სამუშაოებსაც წარმართავენ. კერძოდ, ინსტიტუტში მიღებული ხორბალეკვის მაღალპროდუქტიული ჰიბრიდების თესლი გადაეცა საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტს. ამ მეტად პერსპექტიული ჰიბრიდის დანერგვა სახალხო მეურნეობაში წლეულს შემოდგომაზეა გათვალისწინებული. მარცვლოვან-პარკოსანთა და ბურღულეული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წარმატებით გაიარა ეკოლოგიური გამოცდა ბოტანიკის ინსტიტუტში გამოყვანილმა ლობიოს მუტანტებმა.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის კოლმეურნეობაში ინსტიტუტში გამოყვანილი ღომის სხვადასხვა ჯიში ინერგება. ასეთი მაგალითების მოტანა კვლავაც შეიძლება.

მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის შემოქმედებითი კავშირი სასურსათო პროგრამის სწრაფი რეალიზაციის ერთი უპირველესი და საამედო პირობაა, ამიტომაც არის, რომ ბოტანიკის ინსტიტუტი ამ მიმართულებით კიდევ უფრო ცდილობს მუშაობა გამრავალფეროვნებასა და გააქტიურებას.

**ა. ტერ-ოგანოვი.**

# ბოდნის ახალი ჰორიზონტები

**დიდი ამოცანები დაუსახა პარტიამ მეთორმეტე ხუთწლედში საბჭოთა მეცნიერებას. სკკპ XXVII ყრილობამ სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის მთავარ ბერკეტად მიიჩნია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარება, ახალ თაობათა ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიების ფართო დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ უმეტეს შრომის ნაყოფიერებასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას.**

**ინტენსიფიკაციის რელსებზე სახალხო მეურნეობის გადაყვანისათვის კარგი მარაგნაკეთი შეიქმნა რესპუბლიკაში გასული ხუთწლედის მანძილზე: ოთხასზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ნაშუშევრის დანერგვით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა შეადგინა დაახლოებით 260 მილიონი მანეთი. მექანიკის, მათემატიკის, ასტროფიზიკის, გეოლოგიის დარგში რესპუბლიკისათვის ტრადიციულ გამოკვლევებთან ერთად ინტენსიურად ვითარდება მეცნიერული ნაშრომები რადიობიოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, მანქანათმშენებლობის, მიკროელექტრონიკის დარგში.**

**ჭრთველი სწავლული მეტალურგებისა და მშენებლების, ქიმიკოსებისა და ბოტანიკოსების მიღწევებზეა დაფუძნებული სასურსათო, ენერგეტიკული პროგრამების, იმ საერთო-რესპუბლიკური კომპლექსური და მიზნობრივი პროგრამების შესრულება, რომლებიც ითვალისწინებენ ვიწრო ადგილების ლიკვიდაციას წარმოებაში, პროდუქციის ლითონტევადობის შემცირებას, ახალი პროგრესული მასალების გამოყენებას.**

**ინერგება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი ფორმები მეცნიერებაში, ფართოვდება პარტნიორობა საწარმოებთან, უფრო ეფექტიანად გამოიყენება აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული პოტენციალი.**

**საქინფორმის კორესპონდენტები გვაცნობენ რესპუბლიკის მეცნიერთა იმ ახალ ნაშუშევრებს, რომლებიც დაინერგა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში.**

### ფოლადის ნარჩენების შემცირებით

**საქართველოს** მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერებისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპეციალისტების მიერ შემუშავებულმა ახალმა თბომაიზოლირებელმა ნარევმა შესაძლებელი გახადა წარმოებაში ფოლადის ნარჩენების შემცირება.

ჩვეულებრივ ღუმლიდან ფოლადის გამოსვლის შემდეგ მას ფორმებში ასხამენ. ერთ ნადნობზე 25 ასეთი „ზოდი“ — თითოეული რვა ტონა. მაგრამ ლითონის ჩასხმის დროს როგორც კი ჰაერი ფოლადის ზედაპირს მოხვდება, იგი იჟანგება. ამის შედეგად იგი იფარება მყარი აფსკით, ზოგჯერ კი იღუნება მთელი ფორმა. უკეთეს შემთხვევაში აფსკს აცლის მუშების ბრიგადა გაზის სანთურებით. ეს კი ძნელი და რთული შრომაა. უარეს შემთხვევაში — იწუნებენ მთელ ფორმას.

— ფოლადის შენარჩუნებისათვის გადავწყვიტეთ მასში დაგვმატებინა პერლიტისა და გრაფიტის ნარევი, — თქვა სიახლის ერთ-ერთმა ავტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. გაბისიანმა. — პერლიტი ცეცხლგამძლე და თბომაიზოლირებელი მასალაა. ამის გამო ნარევი ვერ ასწრებს გაცივებას და ჟანგბადთან რეაქციაში შესვლას. გრაფიტი კი სტაბილურს ხდის ტემპერატურას. სხვათა შორის, ერთ ტონა ლითონზე მინიმალური ნარევი იხარჯება — სულ ერთი კილოგრამი. ლითონის ერთ ნადნობზე ეკონომია კი ორ ტონაზე მეტს შეადგენს. მუშები კი თავისუფალი არიან არამწარმოებლური ხელის შრომისაგან.

### არყის ხე ქვის მეტოქეა

**მურუნისა** და არყის ნაზმა და არამედეგმა მერქანმა ქვის სიმტკიცე შეიძინა ქართველი მეცნიერების მიერ გახურებული „აბანოს“ შემდეგ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის თანამშრომლებმა რ. მაჭავარიანმა და გ. ჯიმშელეიშვილმა მერქნის ხანგამძლეობის გაზრდისათვის იგი გოგირდის ხსნარით გაღაღინეს. ასეთი უბრალო ხერხით გადაწყდა ვენახებისა და ბოსტნეულისათვის საამედო და შედარებით იაფი შპალერების სისტემების შექმნის პრობლემა.

დაუმუშავებელი მურყნის ან არყის სარები ერთ სეზონზე მეტს ვერ ძლებენ. წვიმისა და მზის ზემოქმედებით მერქანში სწრაფად მრავლდება ლპობის ბაქტერიები. ისინი სწრაფად ფშვნიან მერქანს. მევენახეებსა და მემინდვრეებს დაეხარა ბეტონი. მაგრამ ისიც, თუმცა საამედო და ხანგამძლეა, ვერ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას და, რაც მთავარია, მძიმეა — სულ ცოტა 30-40 კილოგრამს იწონის. გოგირდით დამუშავებული მურყნის ან არყის ბოძი 8-10 კილოგრამზე მეტი არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასეთი ფაქტიც: ვაზი მეტად მგრძნობიარეა ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისადმი, გოგირდი კი არ იწვევს მის „ალერგიას“.

## აიბოლიტი...

### მაგნიტისათვის

**ფუთზე** ნაკლები სჭირდება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ შექმნილ აიბოლიტს, რომ დიაგნოზი დაუსვას და „განკურნოს“ გაუმართავი ხელსაწყო.

„პაციენტია“ ელექტროძრავა მუდმივი მაგნიტით, რომელსაც წელიწადში ასიათასობით უშვებენ ქვეყანაში. მაგრამ წარმოების ტექნოლოგიის არასრულყოფილება, ხშირად კი მისი დარღვევა იწვევს იმას, რომ მაგნიტებს არ გააჩნიათ საჭირო თვისებები. ამიტომ უხდებათ მათი განმაგნიტება ან დამატებით დამაგნიტება უკვე აწყობილი ძრავის საკონტროლო გამოცდის დროს. ამაზე იხარჯება დრო და მრავალი ადამიანის დამატებითი შრომა. ამასთან, როგორც თქვა ახალი „დიაგნოსტიკოსის“ ერთ-ერთმა ავტორმა, სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნიკური ელექტრონიკის კათედრის გამგემ პროფესორმა ა. კერესელიძემ, ტრადიციული მეთოდი სოლიდურ მატერიალურ ბაზას საჭიროებს. სიახლე კი არა მარტო ამცირებს საერთო შემოწმებისა და გამართვის დროს, არამედ ახორციელებს კიდეც ძრავის სხვა პარამეტრების კონტროლსა და აწყობას, ელექტრონული ძრავის დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი წელიწადში დაახლოებით ორასი ათასი მანეთი იქნება.

20 აპრილი, 1986 წ.



**ჩვენ გვაქვს უდიდესი მეცნიერული პოტენციალი და ამოცანა ის არის, რომ ეფექტურად გამოვიყენოთ იგი.**

**მ. ს. გორბაჩოვი.**

# სახელოვანი სწავლული და მამულიშვილი



**ფილოსოფიის მეცნიერების განვითარების, მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. მშვენიერაძე დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.**

**ჩვენი** რესპუბლიკის ყოველ მშრომელში კანონიერი სიხარულისა და ეროვნული სიამაყის გრძნობას იწვევს სასახელო საქმეები იმ მამულიშვილებისა, რომლებიც ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქში, ქვეყნის სხვა რეგიონებში მოღვაწეობენ. განუზომელია მათი პასუხისმგებლობა — კეთილსინდისიერად ემსახურონ მთელ ჩვენ ქვეყანას, ხალხს, კულტურას, მეცნიერებას და ამავე დროს სახელი და დიდება მოუტანონ თავის მშობელ ერს.

სწორედ ერთი ასეთი მოღვაწე გახლავთ ცობილი საბჭოთა ფილოსოფოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვლადიმერ მშვენიერაძე.

ვ. მშვენიერაძემ ცხოვრების საინტერესო გზა გასეო. შრომითი საქმიანობა დაიწყო 17 წლიდან, სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშობდა პედაგოგად იმავე სასწავლებელში. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. 1948-1953 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში და იქვე დაიწყო მუშაობა ჯერ მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, სექტორის გამგედ, ხოლო ამჟამად ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. მშვენიერაძე ფილოსოფიის ურთულეს პრობლემებზე მუშაობს, იგი თანამედროვე დასავლეთის ბურჟუაზიული ფილოსოფიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრისა და ანტიკომუნიზმის კრიტიკის გამოჩენილი სპეციალისტია. ამ დარგში სწავლულს შექმნილი აქვს ასზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა, მათ შორის რვა მონოგრაფია, რომლებმაც მას დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოუპოვეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. 1981 წელს დაწერილი შრომა „თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ცნობიერება“ გამოცემულია უცხოურ ენებზეც. ახლახან ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „პოლიტიკური რეალობა და პოლიტიკური ცნობიერება“.

თავისი მეცნიერული გამოკვლევებით ვ. მშვენიერაძემ უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფილოსოფიური მეცნიერების თანამედროვე აქტუალური პრობლემების დამუშავებაში. მის მეცნიერულ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიაში ამ ახალი მიმართულების გამოკვეთა, რომელსაც პოლიტიკის ფილოსოფია ეწოდება.

ვ. მშვენიერაძე 1972-1978 წლებში დიპლომატიური მისიით მუშაობდა საფრანგეთში იუნესკოს სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის დირექტორად. მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოური მეცნიერებისა და მთელი ჩვენი ქვეყნის იდეოლოგიისა და პოლიტიკის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების პროგრამის რეალიზაციაში, აგრეთვე საერთაშორისო ფილოსოფიური კონტაქტების ორგანიზაციაში. იგი მრავალი საერთაშორისო კონგრესის, კონფერენციისა და სიმპოზიუმის აქტიური მონაწილე და თაოსანია. მისი რედაქტორობით გამოცემულია მაღალკვალიფიციური ნაშრომები, რომელნიც მომზადებულია საბჭოთა სპეციალისტებისა და საზღვარგარეთელი პროგრესული მოღვაწეების თანაავტორობით.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ლექტორია და ამ მხრივაც ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა.

ვლადიმერ მშვენიერაძის როგორც მკვლევარისა და მეცნიერების ორგანიზატორისათვის დამახასიათებელია ფართო მეცნიერული ერუდიცია, პრინციპულობა, აზრის სიღრმე, ცოდნის ენციკლოპედიურობა. ეს უნიკალური თვისებები წარმოაჩენენ მას როგორც სახელოვან სწავლულს, ღირსეულ მამულიშვილსა და მოქალაქეს.

„გულწრფელად ვულოცავთ შესანიშნავ მეცნიერსა და ღირსეულ მამულიშვილს, ნამდვილ პატრიოტსა და ინტერნაციონალისტს სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ ახალ-ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

**მ. ჯელიძე,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე;**

**ვ. მერკვილაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

# საზეიმო კრებები

### მოსკოვი

**დღეს,** როდესაც ჩვენი ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გზას ადგას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აკადემიისა და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის ეფექტიანობის გაძლიერებას, მეცნიერებისა და წარმოების თანამოქმედების ახალი ფორმების სრულყოფას.

ეს ითქვა საზეიმო კრებაზე, რომელიც 18 აპრილს გაიმართა მოსკოვში საბჭოთა მეცნიერების დღის აღსანიშნავად.

პრეზიდიუმში იყვნ

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ფაქტები • მოვლენები


● შვეიცარია

## დადებითი შეფასება

**სტოკჰოლმი. შვეიცარიის პრემიერ-მინისტრმა კარლსონმა დადებითად შეაფასა საბჭოთა კავშირში თავისი ოფიციალური ვიზიტის შედეგები, სადაც საბჭოთა მთავრობის მიწვევით იმყოფებოდა.**

ვიზიტის შედეგების მიხედვით, აღნიშნა მან საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან დაბრუნებისთანავე შვეიცარიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში, შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიას საბჭოთა კავშირთან სტაბილური, მეგობრული და კარგი ურთიერთობა აქვს. კარგი საწინდარი არსებობს აგრეთვე მთელ რიგ სფეროებში მათი შემდგომი განვითარებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა შვეიცარიის მთავრობის მეთაურმა.

● ინდოეთი

## განხილვა უნდა განახლდეს

**დელი. ინდოეთის დედაქალაქში გაიმართა მიუმხრობლობის მოძრაობის პალესტინის საკითხთა კომიტეტის სხდომა, რომლის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინადადებით მიმართონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა უშიშროების საბჭომ განაახლოს ახლო აღმოსავლეთის ვითარების, მათ შორის პალესტინის პრობლემის განხილვა.**

სხდომაზე, რომელიც ინდოეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გამოითქვა რწმენა, რომ მსოფლიო გაერთიანების ყურადღების მიქცევამ რეგიონში არსებული ვითარებისადმი ხელი უნდა შეუწყოს ახლო აღმოსავლეთის თაობაზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას. კომიტეტის წევრებმა, რომელშიც რვა მიუმხრობელი ქვეყნის წარმომადგენლები შედიან, აღნიშნეს, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველი, სამართლიანი და მშვიდობიანი მოწესრიგება უნდა ითვალისწინებდეს პალესტინელი ხალხის იმ უფლების უზრუნველყოფას, რომ შეიქმნას საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

● სამხრეთ კორეა

## სტუდენტთა მღელვარება

**ტოკიო. ათასობით სამხრეთ-კორეელი სტუდენტი გამოვიდა ქუჩებში და ქვეყნის მთელი რიგი უნივერსიტეტები იგდო ხელთ სამხრეთ კორეაში არსებული დიქტატორული რეპრესიული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.**

სეულიდან მიღებული ცნობებით, საუნივერსიტეტო ქალაქებში გამართული მასობრივი მანიფესტაციებისა და მიტინგების მონაწილეებმა მრითხოვეს ამერიკელი დამქაშის ჩონ დუ ხვანის დადგომა.

ბარბაროსული აქციის ექო

## პრეზიდენტ რეიგანს პროტესტით შეხვდნენ

**ნიუ-იორკი. დიდი პროტესტით შეხვდა ნიუ-იორკის ახლომდებარე მცხოვრები პრეზიდენტ რეიგანს, რომელიც გამოვიდა „უოლდორფ-ასტორიის“ სასტუმროში შტატის რესპუბლიკური პარტიის წევრების წინაშე.** ისინი ერთხმად გაიძახოდნენ: „რეიგანი ბავშვების მკვლელია“, „თეთრი სახლი საერთაშორისო ტერორიზმის წყაროა“, „ხელები შორს ლიბიისაგან“, „მშვიდობა — მსოფლიოს“, და მტკიცედ მოსთხოვეს ახლანდელი ადმინისტრაციის მეთაურს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საგარეო ტერორიზმის პოლიტიკის განხორციელება საერთაშორისო ასპარეზზე. საპროტესტო მანიფესტაცია მოაწყო კოალიციამ, რომელიც აერთიანებს ნიუ-იორკის დაახლოებით 30 ომის საწინააღმდეგო, ახალგაზრდულ და რელიგიურ ორგანიზაციას.

## მეგობის პარლამენტი გმოუს

**პარიზი. ევროპის პარლამენტმა მკაცრად დაგმო შეერთებული შტატების აგრესიული აქციები სუვერენული ლიბიის წინააღმდეგ, უწოდა მათ „საერთაშორისო სამართლის ალმაფფოთებელი დარღვევა“.**

სტრასბურგში გამართულ პარლამენტის სხდომაზე ცხარე კამათის შემდეგ, დეპუტატებმა ხმათა უმრავლესობით მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ამერიკის შეიარაღებული ინტერვენცია მიჩნეულია ძალადობის საშიშ ესკალაციად ხმელთაშუა ზღვის აუზში და სერიოზულ საფრთხედ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროებისადმი. ევროპის პარლამენტმა თავისი აღშფოთება გამოთქვა ტრიპოლიზე და ბენგაზიზე ამერიკის ავიაციის თავდასხმების გამო და განაცხადა, რომ „ნებისმიერი ამგვარი სამარი აქცია საფრთხეს უქმნის მშვიდობას“.

თვითმხილველები აღაქტურებენ

## ბომბავდნენ საცხოვრებელ უბნებს

**რომი. იტალიის დედაქალაქში ლიბიის ავიაკომპანიის „ლიბიან არაბ ეირლაინზის“ პირდაპირი რეისით ტრიპოლიდან ჩამოვიდა ლიბიაში მომუშავე დასავლელ სპეციალისტთა ჯგუფი. იტალიის ტელევიზია პირდაპირ რეპორტაჟს გადმოსცემდა აეროპორტიდან. მან რამდენიმე ინტერვიუ ჩამოართვა ლიბიის მშვიდობიან ქალაქებზე ამერიკული ავიაციის ბანდიტური თავდასხმის მოწმეებს.**

„იმ ადგილიდან, სადაც დაბომბვის დროს ვიმყოფებოდი, თითქმის ყველაფერს ვხედავდი“, — თქვა ელიო პარიზმა, რომელმაც 12 წელი იმუშავა ლიბიაში იტალიის მთელი რიგი ფირმების იურიდიულ კონსულტანტად. „ზღვის მხრიდან მოფრენილი ამერიკული თვითმფრინავები ბომბებს უშენდნენ პირდაპირ საცხოვრებელ უბნებს, იღუპებოდნენ მშვიდობიანი ადამიანები. მანამდე ქალაქში სიმშვიდე იყო, არავინ არ ელოდა თავდასხმას. საკმარისია ითქვას, რომ სახლებში შუქის ჩაქრობა დაიწყეს მხოლოდ დაბომბვის პირველი სერიის შემდეგ“. „მე ვნახე ბევრი მოკლული, — თქვა შემდეგ პარიზმა, —ქალაქის ცენტრში მოედანზე ქალს დავეხმარე, ნანგრევებიდან ამოეთრია ქალიშვილის გვამი. მათი სახლი მთლიანად დაენგრია ბომბებს“.

ინგლისელმა ჯიმ ტოსტეინმა თქვა, თუ როგორ შემოდიოდნენ ზღვის მხრიდან ქალაქში მცელავი ფრენით ამერიკული თვითმფრინავები. „ნაბირთან ისინი ზვით აიჭრნენ და მალე დაიწყო ქალაქის დაბომბვა“.

„დაბომბვის დროს საშინელმა შიშმა შეგვიპყრო“, — თქვა იტალელმა მარიო ფიორემ, — „დიახ, ყველამ შიში ვუჩვენეთ“, — ადასტურებს პასკუალე რუჯერი.

● სუდანი

## გაიწვიეს ელჩი

**ხარτუმი. სუდანმა გამოაცხადა, რომ გაიწვია თავისი ელჩი ვაშინგტონიდან ლიბიის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული აქციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.**

ეს გადაწყვეტილება მიიღეს აქ გამართულ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, იუწყება სუნას საგენტო. ამერიკის ავიაციის ავიზაკური თავდასხმა ლიბიის ქალაქებზე საერთაშორისო საქმეებში საჭელმწიფო ტერორიზმის აშკარა გამოხატულებაა, აღნიშნავს საგენტო.

შემთხვევა

## აფეთქება ჰაერში

**სან-ფრანცისკო. კალიფორნიის შტატის ვანდენბერგის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განუცხადა საკრებულის კორესპონდენტს, რომ პარასკევს იქ გამართული გაშვებიდან რამდენიმე წამის შემდეგ ჰაერში აფეთქდა „ტიტან-34დ“ მატარებელი რაკეტა.**

სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ აფეთქებას მოჰყვა „გაშვების ზონით“ შეზღუდული ზარალი. მაგრამ, როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ახლომდებარე რაიონების მცხოვრებლებს უსაფრთხოების მიზნით ებრძანათ არ გაუშვან ბავშვები ქუჩაში. ვანდენბერგის ბაზის წარმომადგენლმა განაცხადა, რომ დაიწყო გამოძიება კატასტროფის მიზეზების გამორკვევის მიზნით. მატარებელი რაკეტის გაშვება ეწყობოდა პენტაგონის კოსმოსური პროგრამის ფარგლებში. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, რაკეტას ორბიტაზე უნდა გაეყვანა მორიგი თანამგზავრ-ჯაშუში.

# იარა, რომელიც არასდროს შუშდება

**დრო** ყველაფრის მკურნალიაო, ნათქვამია. ჭეშმარიტებაა, მაგრამ ზშირად ეს უებარი მკურნალიც კი უძლურია მთლიანად მოუკრას პირი ადამიანის გულს მოუშუშებელ იარად დამჩნეულ ჭრილობას. მით უფრო, თუ მისთვის თავზარდამცემ ელდას ახალი, არანაკლებ მძიმე ურვა დაემატება, გაჭირვებას — გაჭირვება...

ქართული ანდაზისა არ იყოს, უბედურ კაცს ქვა ალმართში დაეწვეაო, სწორედ ისე წაუვიდა საქმე ხობელ ლიზა ლატარიას. არადა, მისთვის თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. სოფელ ხეთაში ჭქონდა კობწია სახლ-კარი, ჰყავდა ერთგული მეუღლე და მშობლების მოსიყვარულე ქალ-ვაჟი. სიხარულით უთენდებოდა ყოველი დილა და უკეთესს მოლოდინით უღამდებოდა ბედნიერი დღე.

მისი უბედურება მაშინ დაიწყო, უღრუბლო ცაზე ავად რომ გაკვეთა შავმა სვასტიკამ. ოჯახის პირიშო ამირანი ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში. და სწორედ აქედან მოყოლებული გადაეცა ლიზასათვის ერთმანეთს შიშ-იმედარეული მოლოდინის, ზოგჯერ სასოწარკვეთამდე მისული მწუხარების დღეთა გრძელი ჯაჭვი...

სხვათა მსგავსად მტერზე გამარჯვებისა და ომში წასულთა დაბრუნების იმედით ცხოვრობდა და შრომობდა, წარბშეუხრელად იტანდა ყველა სიდუხჭირეს ლატარიების ოჯახიც.

გადაიკეცა ქარიშხალმა, სოფლებში მომრავლდნენ ყაჯარჯნიანი თუ საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული ვაჟკაცები. ამირანისაგან კი არაფერი ისმოდა.

და 1946 წლის ერთ მზიან დღეს, ლიზა მეუღლესთან ერთად ყანაში რომ ამუშავებდა მარჩენალ მიწას, ოჯახში დარჩენილი მათი ახალსკოლადამთავრებული ქალიშვილისათვის ქერჩიდან ჩამოსულ უცნობს გადაუცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ავისმაუწყებელი ბარათი: მძიმე ჭრილობებით ჰოსპიტალში გარდაცვლილი ამირანი ქერჩში, სოფელ კაკანის სამოქალაქო სასაფლაოზეაო დაკრძალული.

ცივად მეუკოცლია გოგონას, გაკვრნია ჩონგური, რომელიც მის ხელში შემდეგ არავის უნახავს, მუხლებში დამლილა. გონს მოსულს პირველად მაინც დედა გახსენებია, ცოდვაო გაუფიქრია და ეს ზარდამცემი ამბავი გულის უშორეს ცხრაკლატულში ჩაუმარხავს, არავისთვის გაუმხელია... უზომო მწუხარებას, გაუმხელელ ვარამსა და უმადობას სანთელივით დაუნთია და ცოტა ხანში გადაუყლეპია კიდეც იგი. გარდაცვალების წინ მამისთვისღა გაუმხელია შემზარავი სიიდუმლო და, დედას არაფერი უთხრაო, შევედრებია.

ახლა მამა შესდგომია გოლგოთას...

ეს ყველაფერი ამირანის სიყრმის მეგობარმა და თანამებრძოლმა იან რუხაძემ მიამბო, რომელიც შემდეგ მარტოხელა ლიზას შვილის ნაცვლად უგულვია და მასაც, თავის მხრივ, შეძლებისდაგვარად სითბო არ დაუკლია დედობლისათვის.

წყვეტილად და განცდით იგონებს ეს ცხოვრების ჭირ-ვარამ გამოვლილი კაცი გარდასული დღეებს, ცდილობს არ შეიმჩნიოს მღელვარება.

— მე და ამირანი ერთად გაგვიწვიეს ჯარში. ცხრამეტისანი ვიყავით. ერთი საზენიტო ნაწილის სხვადასხვა ბატარეაში მოვხვდით, გვერდიგვერდ ვიბრძოდით. უკანასკნელად ორმოცდაორი წლის 27 ნოემბერს ვნახე. იმ დღეს უთანასწორო ბრძოლაში (მოულოდნელად შემოჭრილ მტრის ტანკებს საზენიტო იარაღით შერკინებიან) მძიმედ დაჭრილი და გონდაკარგული მას გამოვუყვანივარ ცეცხლის ხაზიდან, თავად კი ისევ მომხვდურთ შესჯიდებია...

ჯარიდან 1946 წლის მიწურულს დავბრუნდი. ამირანის შესახებ არაფერი ვიცოდი.

ის საცოდავი გოგო, თურმე, ძმის დარდს რომ გადაჰყვა და დაასაფლავეს, მამამისი მე გამენდო. — თუ მოახერხებ, წადი ქერჩში... თუ მართლა დაღუპულია და ცალკეა დასაფლავებული, ბარემ აქეთ ჩამოვასვენოთ. დედამისს ნურაფერს ვეტყვით. როცა გაიგებს, მამინაც ეყოფა საცოდავს. თანაც, იქნებ, შეცდომაც იყოს... ასეთი ქალაღდების შემდეგ ხომ დაბრუნდნენ ჩვენი მეზობლები, ყველას მკვდარი რომ გვეგონაო, რაღაცნაირი იმედიანი მზერით შემომხედა.

ვერ გავუმართლე იმედი. კაკანის სასაფლაოზე გამოვიტირე ძმობილი და ამით უბედურ მამას უკანასკნელი იმედიც გადავუწურე. მოტყდა, მოირკალა კაცი. სიკვდილის წინ ჩურჩულით გადმომცა გარდაცვლილი ქალიშვილის თხოვნა, ლიზას ნურაფერს ეტყვი. ძალიან მეჯიოდა, მაგრამ დიდხანს მართლაც არაფერი მითქვამს...

ეს სევდიანი ამბავი, როგორც ზემოთაც ვთქვი, იანმა ახლახან, ხობში მივლინებით ყოფნისას მიამბო. ლიზა ლატარიაც გარდაცვლილიყო და ამით მთლიანად ჩაეკვდარიყო სიცოცხლე მის ძველებურ კობწია, კოლხურ ოდაში, ოჯახში, სადაც ომამდე ყველაფერი სიხარულითა და ბედნიერებით დუღდა და გადმოდუღდა.

აქამდე არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებ. ამიტომ ძალიან დამწყვიტა გული მისმა სიკვდილმა. უხებუნად გადავფურცლე ჩემი უბის წიგნაკის ჩანაწერები და თითქოს ცოცხალივით წარმომიდგა თვალწინ ეს ოთხმოც წელს გადაბიჯებული სეგამწარებული, სანდომიანი მანდილოსანი, რომელსაც პირველად შარშან ზაფხულში შინც დავაყრიდი, ხელს მაინც გადავუსვამდი საფლავს...

— სულ პირტიტველა მელანდება, დავაკაცებული სიზმარშიც ვერ ვნახე დედამკვდარიო, ჩუმად ამოიკვნესა უცებ მოხუცმა. „ეთ ვენაცვალე, ეზოში წამომართული ალიაგურის ლამაზი ნაგებობის გვერდით მდგომი რაიონის თავმჯდომარეს საკენ გაიშვირა მერე ხელი. — გე საქმე გააკეთეს, მეც გამეხარეს ბოლოს სიცოცხლე და თითქოს ჩემი ამირანიც გამეცოცხლესო, დასძინა...

ძველი ოდის გვერდით, გზის პირას უკვე მთლიანად იყო დამთავრებული დიდების მუზეუმის ორიგინალური ლამაზი შენობა. თუმცა, რაღა შენობა, ამ ადგილას ახლა უკვე მთელი მემორიალური კომპლექსია. მასში შედის შინმოუსვლელი კომკავშირელის ამირან ლატარიის სახლი, დიდების მუზეუმი, ხსოვნის ველი, მარადისობის ხეივანი, შესანიშნავი სამსცენიანი თეატრონი.

— რამდენ კაცს უნახავს ხიდან ვაშლის ჩამოვარდნა, მაგრამ მიზიდულობის კანონი ვერ აღმოაჩინა! — თქვა ცისანამ, ჩვენი სემინარული მეცადინეობის ერთ-ერთმა მონაწილემ.

— საინტერესოა, ერთხელ ნახა ნიუტონმა, ხიდან ვაშლი რომ ჩამოვარდა, და მაშინვე აღმოაჩინა ეს კანონი, თუ მთელი ცხოვრება ვაშლის ხეს იყო მიჩერებული? — იკითხა დავითმა, რომელსაც თითქმის ეძინა.

ზოგმა მართლაც იცოდა ცოტა რამ, ზოგმა — არა.

არც ჩვენ ვიცოდით არაფერი, მაგრამ ერუდიციით მაინც გადავიეთ სემინარი.

ვთქვით, რომ ნიუტონი გამოირჩეოდა გულმავიწყობით, იგი საათს ხარშავდა და კვერცხს დაჰყურებდა. სიცილი ატყდა, ამან გაგვათამამა და სხაპასხეპით მოვყევით:

— ამხანაგებო, ისიც ცნობილია, რომ ნიუტონს ორი კატა ჰყავდა, ერთი ძალიან დიდი, მეორე ძალიან პატარა... ამიტომ მეცნიერმა თავის ოთახში შემოსასვლელ კარში მათთვის (კატებისათვის!) ორი ხვრელი გამოჭრა .— ერთი დიდი კატისათვის, მეორე პატარა კატისათვის...

ამან დიდი ფურორი მოახდინა. ათასი ეჭვი გამოითქვა.

— უვიცობით მოუვიდა დიდ მეცნიერს, გულმავიწყობით, თუ როგორც ჩვენთან, ბათუმში, ტელმანის ქუჩაზე №93/99 სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის აგებულ ხუთსართულიან 60-ბინიან სახლში მოხდა... თქვა ბათუმიდან ჩამოსულმა სტუმარმა და თითქმის ანალოგიური ამბავი მოჰყვა, ოღონდ აქ უკვე უნდა ჩამოვცილდეთ უვიცობისა და გულმავიწყობის ვერსიას და გულმავიწყობის კურსი დანაშაულებრივი თავნებობისაკენ ან, თუ გნებავთ, განუკითხობისაკენ უნდა ავიღოთ..

თურმე ბათუმის სპეციალისტების სახლი (რომლის მშენებლობა 9 თვეა დამთავრდა) დღემდე ვერ განაწილდა, და აი, რატომ. აქაც ნიუტონივით სხვადასხვა ზომის სადარბაზოები აოგიათ, ერთი — „დიდებისათვის“. მეორე — „პატარებისათვის“... ოღონდ არა კატებისათვის, არამედ ადამიანებისათვის!

და აი, თუ დღემდე აგებულ სხვა სახლებს ჰქონდა ათასი დეფექტი, მაგალითად არ იხურებოდა კარ-ფანჯარა, აყრილი იყო პარკეტი, არ ვარგოდა ონკანები, შეიქმნა პრეცენდენტი

# სადარბაზო ნიუტონის მიბაძვით...

ᲕᲬᲔᲠᲢᲝᲜᲘ

— ერთ სახლში სხვადასხვა ზომის სადარბაზოები ააგეს. ახლა ძალიან ძნელია გამოვიცნოთ, რას ფიქრობდა მეცნიერი მაშინ როცა ერთ კარს ორი სხვადასხვა ზომის ხვრელი გაუკეთა.... ყოველ შემთხვევაში სოლომონ ბრძენიც რომ ყოფილიყო ნიუტონი, იმას მაინც ვერ იწინასწარმეტყველებდა, რომ ოდესმე ჩვენში, საქართველოში, აჭარაში იქნებოდა სოფლის მეურნეობის მინისტრი, ამქამად უკვე ყოფილი (აი ამაზე ითქმის სწორედ, კაცი მიდის, საქმე რჩებაო!), ვინმე სიმონ შარაძე, რომელიც ამ საქმეს ჩაუდგებოდა სათავეში და ბათუმში ასეთ დიდ და პატარა სადარბაზოებიან სახლს აშენებინებდა.

ამ პატივცემულმა შარაძემ საქალაქო საბჭოს უკითხავად დაურიგა საგარანტიოები, მათ შორის ისეთებსაც, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო ამ სამინისტროსთან, შეადგინეს პროექტი და დაიწყო მშენებლობა.

გამზადდა ბინები და ხმაც გავარდა, პირველი სადარბაზოს სამთვალიანი ბინები, „პრივილეგირებული ამხანაგებისათვის“ არის ნავარაუდევი და დიდიაო. ზოგს უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა ეგონა, მაგრამ, ვაი, რომ მართალი აღმოჩნდა!

თურმე ამხანაგმა შარაძემ საპროექტო ორგანიზაციის ხელმძღვანელს არქიტექტორ რევაზ გოგიტიძეს (ახლა რომ ქალაქის მთავარი არქიტექტორია!) მართლაც მისწერა პირველი სადარბაზოს სამოთახიანი ბინები მაქსიმუმამდე გაზარდეო. პროექტი გადააკეთეს და, რა თქმა უნდა, არავის შეუთანხმეს. სამაგიეროდ შარაძემ გოგიტიძის სამთვალიანი ბინა ჩაიბარა და თავისი დაპროექტებული ბინის „დიდ სადარბაზოში“ საგარანტიო ქალაღდი მისცა.

მოგეხსენებათ, წყალნი წავლენ და წამოვლენ... უმეტესად ხელმძღვანელები წავლენ-წამოვლენ და, ასე თუ ისე, სადმე მაინც მოიწყობიან... ქვიშანი კი, ანუ დაწესებულების ხალხი, დარჩებიან.

ასე მოხდა აქაც...

სამინისტრო აგროსამრეწველო კომიტეტად გარდაიქმნა, კომიტეტში გაერთიანდა ყველა სამსახური, რომელთაც კავშირი ჰქონდათ სოფლის მეურნეობასთან. რაკი სახლი წელობრივად შენდებოდა, კომიტეტის შექმნის შემდეგ აღრიცხვაზე მყოფთა სიები უნდა გაერთიანებულიყო და რიგითობა და შეღავათები ობიექტურად გადაწყვეტილიყო, ამისთვის შექმნეს საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისია. სანამ კომისიამ მიიხედ-მოიხედა, არიქა, უბინოდ არ დავრჩეთო, და თვით კომიტეტის თანამშრომლები სტაჟიურად შესახლდნენ საკუთრად მიჩნეულ ბინებში, ზოგიერთმა რემონტიც კი დაიწყო...

მოგეხსენებათ, უპატრონო ეკლესიას...

# ᲡᲐᲥᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲠᲘᲒᲘᲡ

**ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ**

**ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲘᲗᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲖᲦᲣᲓᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲠ**

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** პრეზიდენტმა რეიგანმა თეთრ სახლში თავის წამყვან საგარეო-პოლიტიკურ მრჩეველთან გამართა თათბირი ამერიკის შეერთებული შტატების შიერ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დაცვის საკითხზე, რომელიც, როგორც ცნობილია, ამერიკის მხარეს არ დაუტკიცებია.

თათბირი მოეწყო იმასთან დაკავშირებით, რომ მაისისათვის დაგეგმილია წყალში ჩაუშვან „ტრაიდენტის“ სისტემის მერვე ატომური წყალქვეშა ნავი „ნევადა“, თუ ამერიკის შეერთებული შტატები არ განაზორციელებს საკომპენსაციო ღონისძიებებს, მაგალითად, არ დაშლის „პოსეიდონის“ ტიპის ორ წყალქვეშა ნავს, გადაამეტებენ ზღვარს, რომელიც დადგენილია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებით ინდივიდუალური დამოზნეობის ტელევიზიის პროგრამა. 12.35 — რუსული მეტყველება. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „ურის განთიადები“. II სერია. 14.05 — ცხოველთა სამყაროში. 15.05 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 15.35 — რეკლამა. 15.40 — ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. 16.00 — პოკეი. აშშ — კანადის ნაკრები გუნდები. შესვენებისას — კლასიკური ჭიდაობა. 18.30 — მხატვრული ტანვარჯიში. 19.10 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძური. ი. პაიდნი. 19.50 — მულტფილმი. 20.00 — „რ. პაულსის კონცერტებზე“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 21.50 — უკრავს ვ. კლიმოვი (ვიოლინო). 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ეკრანზეა კინოკომედია. „შფოთისთავი“.

**21 აპრილი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მულტფილმები. 10.15 — საფეხბურთო მიმოხილვა. 10.45 — მხატვრული ფილმი „კონდუიტი“. 12.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.35 — კონცერტი. 17.00 — დედის სკოლა. 17.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „საუკუნეთა შეხვედრა“. 18.05 — გამოგვეხმაურეთ, მეგუკენო! 18.35 — კონცერტი. 19.00 — მულტფილმები. 19.20 — დაჩქარება. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — კონცერტი. 21.00 — ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. „მეელვარებისა და ბრძოლის წლები. 1907-1917 წლები“. ფილმი მესამე „ომი ომს“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „რისი უფლება აქვს კუზენკოვს?“ და „ლაბორატორია“. 0.05 — დღეს მსოფლიოში. 0.20 — სპორტი გასულ კვირაში.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.05 — რუსული მეტყველება. 11.05 — მ. გორკი. „ნარკვევები ამერიკაზე“. 12.10 — მეცნიერება და ცხოვრება. 13.10 — მუსიკის გაკვეთილი მასწავლებელს. III კლასი. 14.30 — ვ. მაიაკოვსკის სამოქალაქო ლირიკა. 15.30 — ისტორიის ფურცლები. ი. ნ. ულიანოვი. 19.20 — კლასიკური ჭიდაობა. 19.50 — „მშენებლობა და არქიტექტურა“. 20.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 21.45 — მღერის და ცეკვავს ახალგაზრდობა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პოკეი. შვეიცარიის ნაკრები გუნდები. 24.00 — ახალი ამბები.

## ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

**20 აპრილი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე (განმეორებითი). 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — დილის გასართობი პროგრამა. 10.50 — კინოჟურნალი. 11.00 — „მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა“. სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30— „კინოფიშა“. 12.00 — „დღეს ფოსტა“ — მუსიკალური გადაცემა (მ.). 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.05 — ხალხური შემოქმედება — სიმღერის შესწავლა. 13.45 — „ჯანმრთელობა“. სატელევიზიო პროგრამა. 14.20 — საკვირაო გამოფენა. 14.25 — ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი — ნატო ღერწაშვილი (განმეორებითი). 15.10 — კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის საავტორო კონცერტი. 16.10 — „ვესტნიკი“. 16.40 — საკვირაო გამოფენა. 16.45 — „აქტუალური ეკრანი“ — ეკონომია ყველა ჩვენგანის საზრუნავია. 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.25 — „კინოს სამყაროში“. 18.55 — საკვირაო გამოფენა. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. ქუთაისის „ტორპედო“ — დონეცკის „შახტიორი“ (რეპორტაჟი ქუთაისიდან). შესვენების დროს (19.45) „ზღაპრის გუდა“. 20.45 — მოამბე. 21.20 — საბჭოური მეცნიერების დღე. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — სპორტული პროგრამა „45 წუთი“. 23.35 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

**21 აპრილი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე (განმეორებით). 10.15 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 10.45— მხატვრული ფილმი „კონდუიტი“ (მ.). 12.05 — დოკუმენტური ფილმი „გული ძგერს“. 13.00 — ტელეკურსულთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ეკონომიკის კურსი. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.45 — განცხადებები. 16.50 — მოსწავლეთათვის. „ჩემი კომკავშირი“. „მე რომ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიყო“... (გადაცემა პირველი). 17.35 — „მშრომელთა საჩუქრები — ვლადიმერ ილიას ძე ლენინს“. 17.55 — ვ. ი. ლენინის დაბადების 116-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. ტრანსლაცია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. 19.00 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.20 — „დაჩქარება“ (მ.). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ცეროდენას ეკრანი“. 21.00 — „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. პრემიერა სატელევიზიო მრავალსერიანი ფილმისა— „მეელვარებისა და ბრძოლის წლები. 1907-1917 წლები“. ფილმი მესამე „ომი ომს“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის. „დედა“. 23.25 — ბალეტის მოყვარულთათვის. „პრემიერა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში“.

**მეორე პროგრამა.** 16.35 — სატელევიზიო დადგმა „ვასილ ტეორკინი“. 18.25 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია.

## ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ

**20 აპრილი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე (განმეორებითი). 10.15 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 10.45— მხატვრული ფილმი „კონდუიტი“ (მ.). 12.05 — დოკუმენტური ფილმი „გული ძგერს“. 13.00 — ტელეკურსულთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ეკონომიკის კურსი. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.45 — განცხადებები. 16.50 — მოსწავლეთათვის. „ჩემი კომკავშირი“. „მე რომ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიყო“... (გადაცემა პირველი). 17.35 — „მშრომელთა საჩუქრები — ვლადიმერ ილიას ძე ლენინს“. 17.55 — ვ. ი. ლენინის დაბადების 116-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. ტრანსლაცია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. 19.00 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.20 — „დაჩქარება“ (მ.). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ცეროდენას ეკრანი“. 21.00 — „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. პრემიერა სატელევიზიო მრავალსერიანი ფილმისა— „მეელვარებისა და ბრძოლის წლები. 1907-1917 წლები“. ფილმი მესამე „ომი ომს“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის. „დედა“. 23.25 — ბალეტის მოყვარულთათვის. „პრემიერა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში“.

**მეორე პროგრამა.** 16.35 — სატელევიზიო დადგმა „ვასილ ტეორკინი“. 18.25 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია.

ᲐᲮᲐᲑᲐᲮᲘ

## ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

**ᲞᲝᲚᲔᲝ.** მოსკოვში გრძელდება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მატჩები. გთავაზობთ მეოთხე და მეხუთე ტურის შეხვედრათა შედეგებს: ფინეთი-ჩეხოსლოვაკია — 1:1, პოლონეთი-კანადა — 3:8, გფრ-სსრ კავშირი — 1:4, შვეიცია-აშშ — 5:2, ჩეხოსლოვაკია-აშშ — 5:2, ფინეთი-პოლონეთი — 4:2, კანადა-სსრ კავშირი — 0:4, შვეიცია-გფრ — 4:2. ხუთი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (10) ლიდერობს